



საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მსოფლიო ბანკის დაფინანსებული
რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე
პროექტი (RMIDP II) და დამატებითი დაფინანსება

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის
ჩარჩო დოკუმენტი

2014 წ. მარტი
განახლების თარიღი: 2020 წ. მარტი

წინასიტყვაობა

პროექტის აღწერა

რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) საშუალებით, მსოფლიო ბანკი, 2014 წლიდან, ხელს უწყობს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას, დეცენტრალიზაციის და რეგიონული განვითარების გამოწვევების მოგვარებაში. 2020 წელს, საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე, მსოფლიო ბანკი დათანხმდა დამატებითი დაფინანსების გამოყოფაზე, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) მიმართ. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ბანკი და მსოფლიო ბანკი შეთანხმდნენ, რომ პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსება გაკვეება პროექტის დამტკიცებულ კონცეფციას და პროექტს.

პროექტის განვითარების მიზანს მიზნობრივი მუნიციპალური სერვისების და ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის და მდგრადობის გაუმჯობესება წარმოადგენს.

პროექტი სამი კომპონენტისგან შედგება.

კომპონენტი 1: ინფრასტრუქტურული ინვესტირება, პროექტის მენეჯმენტი და მონიტორინგი

(i) ხელს უწყობს შერჩეული მუნიციპალიტეტების უზრუნველყოფას საბაზისო მუნიციპალური სერვისებით და ინფრასტრუქტურით, ურბანულ და სასოფლო თემებში; (ii) ასევე ისეთ რეგიონებში მცხოვრებ თემებს, რომლებსაც ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, ეხმარება საბაზისო მომსახურების და სერვისების მიღებაში; (iii) ხელს უწყობს კერძო კაპიტალის მობილიზაციას შერჩეულ ქალაქებსა და სოფლებში, საჯარო-კერძო ინიციატივის (PPI) მიმართ დამატებითი რესურსების გამოყოფის შესაძლებლობით.

კომპონენტი 2: ინსტიტუციური განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის მასშტაბით არსებული მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური შესაძლებლობის და საქმიანობის გაუმჯობესებას, რაც მოიცავს: (i) აქტივების უკეთესად დაგეგმვას და მართვას, ინვესტიციების ეფექტიანობის და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით; (ii) ინფრასტრუქტურული პროექტის ციკლის გაძლიერებულ მართვას (მათ შორის იდენტიფიკაციას, მომზადებას, განხორციელებას, ზემოქმედებას და მონიტორინგს) და (iii) ფისკალური დისციპლინის და ანგარიშგების გაძლიერებას.

კომპონენტი 3: რეაგირება გაუთვალისწინებელ საგანგებო შემთხვევებზე წარმოადგენს ახალ კომპონენტს, რომელიც დაემატა პროექტს, დამატებითი დაფინანსების გამოყოფის შემდეგ. დღესდღეობით, აღნიშნულ კომპონენტს გააჩნია ნულოვანი დაფინანსება, თუმცა აღნიშნული იძლევა სხვა კომპონენტებიდან საპროექტო სახსრების სწრაფი განაწილების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოს მთავრობის მიმართ სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას, საქართველოში შესაბამისი კრიზისის, ან საგანგებო მდგომარეობის წარმოქმნის შემთხვევაში.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის მოცემულ ჩარჩო დოკუმენტში (ESMF) წარმოდგენილია პროცედურები და განხორციელების მექანიზმი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სრული გათვალისწინება, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელოსა (OP/BP 4.01) და საქართველოს გარემოსდაცვითი რეგულაციების მიხედვით, რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) და აღნიშნული პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსების ფარგლებში დაფინანსებული ქვე-პროექტების სკრინინგის, დამტკიცებისა და ინვესტიციების განხორციელების საკითხებზე. დოკუმენტში აღწერილია პროექტის შესაბამისი, გარემოსდაცვითი რეგულაციები და სტანდარტები და ინსტიტუციები, ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ნებართვების, ლიცენზიების გაცემაზე და გარემოსდაცვითი სტანდარტების აღსრულებაზე. დოკუმენტში, ასევე, მოცემულია დეტალური რეკომენდაციები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) პერსონალისა და ქვე-პროექტის ინიციატორებისთვის გარემოსდაცვითი სკრინინგის, შეფასებისა და მონიტორინგის საკითხებზე. თითოეული ქვე-პროექტის სკრინინგი და განხილვა ინდივიდუალურად განხორციელდება მგფ-ს მიერ. შეივსება გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სია და ქვე-პროექტებს მიენიჭება გარემოსდაცვითი კატეგორიები. ქვე-პროექტის შეფასების დოკუმენტებში შეტანილი იქნება გარემოსდაცვითი საკითხების ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

1. მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი ღონისძიებების სახელმძღვანელო პრინციპები

1.1 ძირითადი პრინციპები

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა იცავდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი ღონისძიებების სახელმძღვანელო პრინციპებს. ამ პრინციპების მიზანია გარემოსდაცვითი ექსპერტიზის პროცესის დამკვიდრება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსოფლიო ბანკის სესხების მეშვეობით დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში მიმდინარე პროექტები იყოს ეკოლოგიურად მდგრადი, ხორციელდებოდეს არსებული მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვით და როგორც ამას მსოფლიო ბანკის რეგულაციები მოითხოვს, არ შეუქმნას მნიშვნელოვანი საფრთხე გარემოს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

მსოფლიო ბანკი ისეთ პროგრამებს უჭერს მხარს, რომლებიც ასახავენ პროექტის განხორციელების ქვეყნებში საზოგადოების ჩართულობის შედეგებს პროგრამის ყველა ფაზის განმავლობაში, ასევე ხელისუფლების, კერძო ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების ინტეგრირებას. ამ სულისკვეთებით, მგფ უზრუნველყოფს, რომ ქვე-პროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების (ESMPs) და გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშების (ESRs) მომზადება მოიცავდეს კონსულტაციებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მხარეებთან და შესაბამისი დოკუმენტების გასაჯაროებას.

კონსულტაციებთან და საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით მგვ ითვალისწინებს დროულ და თანამონაწილეობით საჯარო კონსულტაციას გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებების მოსამზადებლად, გამოაქვეყნებს და ადვილად ხელმისაწვდომს გახდის გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშებს (ESRs) და გარემოსდაცვითი მართვის გეგმებს.

და ბოლოს, მსოფლიო ბანკი ემხრობა იმ პრინციპს, რომ ხელშეკრულებაზე პასუხისმგებლობა ეკუთვნის განმახორციელებელ ქვეყანას, აღიარებს განმახორციელებელი ქვეყნის პასუხისმგებლობას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შერბილებასთან დაკავშირებით; მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს, რომ სრულად იქნეს გათვალისწინებული გარემოსდაცვითი მექანიზმები SRMIDP-ის და SRMIDP-ის დამატებითი დაფინანსების ფარგლებში დამტკიცებული საინვესტიციო ქვე-პროექტების სკრინინგის, დამტკიცებისა და განხორციელების პროცესში მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი შეფასების რეგულაციების (OP/BP 4.01) და საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი რეგულაციების შესაბამისად. მასში აღწერილია არსებული გარემოსდაცვითი რეგულაციები და სტანდარტები, მითითებულია ის ინსტიტუციები, რომლებსაც ევალებათ ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, აგრეთვე ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა. დაფინანსებულ პროექტებში დაცული უნდა იყოს განმახორციელებელი ქვეყნის კანონმდებლობა, რეგულაციები და სტანდარტები, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნები.

1.2 გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების ფარგლებში

ქვე-პროექტის სკრინინგის (*დანართი 1*) მიზანია იმ მთავარი საფრთხეებისა და სარგებლის იდენტიფიცირება, რასაც მათი განხორციელება უქმნის ბუნებრივ და სოციალურ გარემოს და კულტურულ მემკვიდრეობას. სკრინინგის შედეგების მიხედვით შემოთავაზებული ქვე-პროექტები დაჯგუფდება A, B, ან C გარემოსდაცვით კატეგორიად. კლასიფიკაციის პრინციპები ქვემოთ არის წარმოდგენილი. A კატეგორიის არცერთი ქვე-პროექტი არ ექვემდებარება მხარდაჭერას, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) და ამავე პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსების (AF) ფარგლებში. მსგავსი სახის ქვე-პროექტები შეუსაბამოდ მიიჩნევა. B კატეგორიის პროექტები შესაძლოა ხასიათდებოდნენ შედარებით მაღალი, ან დაბალი რისკებით. ქვე-პროექტთან დაკავშირებული მაღალი, ან დაბალი რისკების შემთხვევაში, შესაბამისი გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის შედგენისას შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის (ESR) ანგარიშის მომზადება (მათ შორის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) მომზადება) - მაღალი რისკის B კატეგორიისთვის, ან აღნიშნული პროცესი შესაძლოა შეიზღუდოს ESMP-ის საკონტროლო სიის გამოყენებით, მცირემასშტაბიანი მშენებლობის და რეაბილიტაციის განხორციელების შემთხვევაში - (იხ. დანართი) - დაბალი რისკის B კატეგორია.

მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპები საქმიანობის გარემოს დაცვით კატეგორიებად დაყოფის შესახებ, ქვემოთ არის წარმოდგენილი (უფრო დეტალური ინფორმაციისთვის, იხ. გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტი OP/BP 4.01).

კატეგორია A: პროექტი A კატეგორიას მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ იგი მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს გარემოზე. ამ ზემოქმედების გავრცელების არეალი უფრო ვრცელია, ვიდრე ფიზიკური სამუშაოების განხორციელების ადგილი ან ობიექტი. A კატეგორია მოიცავს სენსიტიურ სექტორებსა და სენსიტიურ ადგილებში ან მათთან ახლოს მიმდინარე პროექტებს. ასეთი პროექტებისთვის საჭიროა სრული გზმ (EIA), რომელიც შეიცავს გარემოსდაცვითი მართვის გეგმას (EMP).

კატეგორია B: პროექტი B კატეგორიას იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ მისი პოტენციური ზემოქმედება ნაკლებად სახიფათოა A კატეგორიის პროექტებთან შედარებით. ამგვარი ზემოქმედება კონკრეტულ ადგილს ეხება, ხშირ შემთხვევაში არა შეუქცევადი და შერბილების ღონისძიებები ადვილი განსახორციელებელია. ასეთი პროექტებისთვის, პროექტის ტიპოლოგიიდან გამომდინარე, მოითხოვება გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშის (ESR) და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) მომზადება. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, B კატეგორიის ქვე-პროექტი ექვემდებარება გზმ-ს (EIA) და გარემოსდაცვითი დასკვნის გამოცემას, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით საჭირო იქნება სრულყოფილი გზმ-ს (EIA) მომზადება.

კატეგორია C: პროექტი C კატეგორიას იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ მისი პოტენციური ზემოქმედება მინიმალურია, ან პროექტი არ შეიცავს საფრთხეს. ასეთი პროექტებისთვის მგფ უფლებას იტოვებს მოითხოვოს კონკრეტული გარემოსდაცვითი კვლევები, ანგარიშგება, ან ტრენინგი დადებითი გარემოსდაცვითი ზემოქმედების გაძლიერების მიზნით.

სოციალური სკრინინგი ქვე-პროექტების სკრინინგის და დამტკიცების პროცესის ნაწილია. აღნიშნული იძლევა OP/BP 4.12 - არა-ნებაყოფლობითი განსახლების გამოყენების საჭიროების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, კონკრეტულ ქვე-პროექტთან მიმართებაში, რა შემთხვევაშიც, შემდგომი ნაბიჯები და საქმიანობა განისაზღვრება განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) საფუძველზე, რომელიც მომზადებულია რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტისთვის (SRMIDP) და განახლებულია ამავე პროექტის (SRMIDP) დამატებითი დაფინანსების (AF) მიზნებისთვის. ქვე-პროექტების სოციალური სკრინინგი განხორციელდება სოციალური სკრინინგის ფორმის (**დანართი 2**) გამოყენებით.

1.3 მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკა

რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტს (SRMIDP) და ამავე პროექტის დამატებით დაფინანსებას (SRMIDP AF) მოქმედებაში მოჰყავს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების შემდეგი რეგულაციები:

OP/BP 4.01 გარემოსდაცვითი შეფასება

OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები

OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლება

OP/BP 7.50 საერთაშორისო წყლებთან დაკავშირებული პროექტები

პროექტი შეიცავს ინვესტირების კომპონენტს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და შესაბამისად მოქმედებს OP/BP 4.01 - გარემოსდაცვითი შეფასება. OP/BP 4.01 პრინციპების შესაბამისად, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტს (SRMIDP), მის დამატებით დაფინანსებასთან (AF) ერთად, მინიჭებული აქვს B კატეგორია და შესაბამისად, მის ფარგლებში მხარდაჭერილი იქნება მხოლოდ B ან C კატეგორიის ქვე-პროექტები.

მოსალოდნელია, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან, რომლებიც შერჩეული იქნება პროექტის ინტერვენციის ფარგლებში, წყლის ჩაშვება განხორციელდება ტრანსსასაზღვრო მდინარეებში, ან იმ მდინარეებში, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინება. რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) და ამავე პროექტის დამატებითი დაფინანსების (AF) ფარგლებში ასევე დაფინანსდება წყალმომარაგების რამდენიმე სისტემის რეაბილიტაცია მცირე და საშუალო ზომის დასახლებებში და ამ სისტემებისთვის წყალაღება შეიძლება მოხდეს ტრანსსასაზღვრო მდინარეებიდან. ამიტომ მოქმედებს OP/BP 7.50. თუმცა, SRMIDP-ის და ამავე პროექტის დამატებითი დაფინანსების (AF) განხორციელება უარყოფითად არ შეცვლის წყლის ნაკადის ხარისხს ან მოცულობას სანაპირო ქვეყნებისათვის და ასევე არ მოექცევა სხვა სანაპირო ქვეყნების მიერ შესაძლო წყლის მოხმარების უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ. შესაბამისად, სანაპირო ქვეყნებთან კომუნიკაცია მიჩნეულ იქნა არასაჭიროდ და ამ მოთხოვნიდან გათავისუფლება მიღებული იქნა მსოფლიო ბანკის მენეჯმენტიდან.

OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები – მოქმედებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კულტურული ან ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლებთან ახლოს მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებმა არ იქონიოს ზემოქმედება არსებული კონსტრუქციების სტრუქტურულ სტაბილურობაზე და არ გამოიწვიოს ისტორიული და ესთეტიკური ღირებულების გაუფასურება. უსაფრთხოების ეს რეგულაცია ვრცელდება აგრეთვე მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით ნაპოვნ არტეფაქტებზე.

OP/BP 4.12 მოქმედებს არანებაყოფლობითი მიწის შესყიდვის, განსახლების, ან მიწით და სხვა ქონებით სარგებლობის შეზღუდვის შემთხვევებში, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას მხარდაჭერილი ქვე-პროექტების ფარგლებში მშენებლობის და/ან ექსპლუატაციის ეტაპზე. რადგან ქვე-პროექტების ადგილმდებარეობა დღეისათვის უცნობია, მომზადდა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი (RPF) და შესაბამისად, საჭიროებისამებრ, შემუშავდება განსახლების სამოქმედო გეგმები (RAPs) თითოეული ქვე-პროექტისთვის, RPF-ის შესაბამისად. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დაზარალებული მოსახლეობა სრულ კომპენსაციას მიიღებს.

1.4. საჯარო კონსულტაცია

მსოფლიო ბანკის პრინციპების შესაბამისად, მგვ უზრუნველყოფს საჯარო კონსულტაციას გარემოს დაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის მომზადების პროცესში. B კატეგორიის

ქვე-პროექტებისთვის უნდა ჩატარდეს საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გამოცხადდება წინასწარ. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები (ESMPs) და გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშების (ESRs) პროექტები (სამუშაო ვერსიები) ხელმისაწვდომი იქნება ქართულ და ინგლისურ ენებზე და აღნიშნულ სამუშაო ვერსიებზე საჯარო საკონსულტაციო შეხვედრებს გამართავს მგფ. ადგილობრივ თემებს ეცნობებათ აღნიშნული დოკუმენტების მყარი ვერსიების ხელმისაწვდომობის შესახებ, მგფ უკუკავშირს მიიღებს საჯარო კონსულტაციებიდან და სათანადო კომენტარებს შეიტანს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის (ESMP) და გარემოსდაცვითი მართვის გეგმებში. საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები ქვე-პროექტების ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან გაიმართება შერჩეული ქვე-პროექტების ტერიტორიების მახლობლად, რათა გარანტირებული იყოს დაინტერესებული მხარეების ადვილად მისვლა ადგილზე. საკონტაქტო ინფორმაცია შეკითხვების დასასმელად, უკუკავშირის, ან პრეტენზიების მისაღებად, დარიგდება საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების დროს და განთავსდება ხილულ ადგილას, პროექტის განხორციელების პროცესში. განსახილველი დოკუმენტების პროექტები ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, რომ აღნიშნულ დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყოს ადგილობრივი თემებისთვის, მათთვის მისაღებ ენაზე და მათთვის მისაღები ფორმატით.

მოხდება საჯარო საკონსულტაციო პროცესის დეტალების ამსახველი ჩანაწერების შენახვა. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებს (ESMPs) და გარემოსდაცვით და სოციალური მიმოხილვის ანგარიშებს (ESR) თანდართული უნდა ჰქონდეს ყველა ჩატარებული შეხვედრის ოქმი. ჩანაწერები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- რა განცხადება გაკეთდა შეხვედრაზე, რომელი მედიის საშუალებით და როდის (თარიღი);
- როდის და სად ჩატარდა შეხვედრა;
- რამდენი ადამიანი ესწრებოდა შეხვედრას;
- როგორი იყო შეხვედრის დღის წესრიგი (რაც მოიცავს სულ მცირე შემდეგ საკითხებს: ძირითადი მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე, ასევე სოციალური ზემოქმედება, შემარბილებელი ღონისძიებები, საჩივრების მოგვარების მექანიზმი);
- ვინ იყვნენ ძირითადი გამომსვლელები და რა ასპექტები იქნა მათ მიერ განხილული;
- რა ტიპის შეკითხვები დასვეს ძირითადად ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა და რა პასუხები გაეცათ მათ.

ოქმს თან უნდა ახლდეს ფოტო მასალა, რაც გადაღებული იქნება კონსულტაციის პროცესში. ასევე აუცილებელია დამსწრეთა ნუსხის წარმოდგენა, მათი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, რაც დადასტურებული იქნება მათივე ხელმოწერებით. ESMP-ები და ESR-ის დასრულება მოხდება შესაბამისი უკუკავშირის გათვალისწინებით და გამოქვეყნდება ხელახლა, საკონსულტაციო შეხვედრების ამსახველ თანდართულ ოქმთან ერთად.

კონსულტაციები ქვე-პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებთან გაგრძელდება მშენებლობის ეტაპზე და წამოჭრილი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ჩანაწერები და საკონსულტაციო შეხვედრების, საველე ვიზიტების, არაოფიციალური განხილვების დროს და ოფიციალური წერილების საშუალებით მიღებული პრეტენზიები, გათვალისწინებული იქნება. აღნიშნული ჩანაწერები ხელმისაწვდომი იქნება და შეინახება პროექტის ოფისში - მგფ-ში.

1.5 მონიტორინგი

გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი მგფ-ს საზედამხედველო სამუშაოს განუყოფელი ნაწილია მიმდინარე პროექტის განხორციელების პროცესში. მგფ ვალდებულია გააცნოს მენეჯერებსა და კონტრაქტორებს გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაცია და ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს მუშებს/პერსონალს ამ გეგმების დაცვის თაობაზე. მგფ კონტრაქტორებისგან მოითხოვს, რომ მათ დროულად ჩააბარონ ასფალტის/ბეტონის საამქროების (თუ კი ასეთს ფლობენ) მუშაობისთვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვები; ქანების, ხრემის და ქვიშის მოპოვების ლიცენზიები (თუ ამუშავებენ კარიერებს) და ადგილობრივ ხელისუფლებასთან/ლიცენზირებულ ნაგავსაყრელ (ორგანიზაციებთან) წერილობითი შეთანხმებები, ნარჩენების განთავსების თაობაზე. მგფ ჩაატარებს სამშენებლო სამუშაოების რეგულარულ მონიტორინგს, რათა შეამოწმოს კონტრაქტორების მიერ გარემოსდაცვითი მართვის გეგმების მოთხოვნების დაცვა, დაადგინოს წარმოშობილი ეკოლოგიური პრობლემები ან რისკები და უზრუნველყოს რისკების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების შესრულება. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, მგფ ინსტრუქტაჟს გაუწევს კონტრაქტორებს მაკორექტირებელი ღონისძიებების თაობაზე და მჭიდრო მონიტორინგს გაუწევს მათ შემდგომ განხორციელებას.

ზემოხსენებული საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებაში მგფ-ს დახმარებას გაუწევს დაქირავებული საზედამხედველო კომპანია. სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობა, გარემოსდაცვითი, კულტურული და სოციალური ასპექტების თვალსაზრისით, იქნება აღნიშნული საზედამხედველო კომპანიის ტექნიკური დავალების განუყოფელი ნაწილი.

2. SRMIDP-ის და ამავე პროექტის დამატებითი დაფინანსების (AF) ფარგლებში გათვალისწინებულ ოპერაციებთან მიმართებაში მოქმედი საქართველოს გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა და მგფ-ს პროცედურები

2.1. გარემოსდაცვითი ნებართვების გაცემა

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება მოხდა 2017 წელს, ხოლო ძალაში შესვლა - 2018 წელს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA) წარმოადგენს პროცედურას, ბუნებრივ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და

მატერიალურ აქტივებზე, გათვალისწინებული საქმიანობით განპირობებული შესაძლო პოზიტიური და ნეგატიური, მოკლე-ვადიანი, გრძელ-ვადიანი, კუმულატიური, თუ ნარჩენი ზემოქმედების იდენტიფიკაციისა და შესწავლის მიზნით, შესაბამისი კვლევების საფუძველზე. კოდექსი მოიცავს ორ დანართს, სადაც წარმოდგენილია საქმიანობის ჩამონათვალი, რომელთაგან I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა უცილობლად ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (EIA), ხოლო II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობასთან მიმართებაში EIA-ს პროცედურის საჭიროება, ექვემდებარება გარემოსდაცვით სკრინინგს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ძირითადი ეტაპებია:

- სკრინინგის და სკოუპინგის (ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების თანმიმდევრობის განსაზღვრის პროცედურა) პროცედურები;
- საქმიანობის განმახორციელებლის, ან მრჩევლის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ანგარიშის მომზადება;
- საზოგადოების მონაწილეობა;
- EIA ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, და საჭიროების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებლის (წარმომადგენლის) მიერ დამატებითი ინფორმაციის, ასევე კომპეტენტურ ადმინისტრაციულ უწყებებთან საჯარო მონაწილეობის და კონსულტაციების პროცესში მიღებული ინფორმაციის მიწოდება სამინისტროსთვის;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) ანგარიშის ექსპერტიზა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ;
- დადებითი, ან უარყოფითი დასკვნის გაცემა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. დადებითი დასკვნა ნიშნავს გაგრძელების ნებართვას, რაც მშენებლობის ნებართვის პროცედურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2.2. მგფ-ს მიერ გამოყენებული გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურები ქვე-პროექტის ციკლში

მგფ ქვე-პროექტების გარემოსდაცვით განხილვას/სკრინინგს და მონიტორინგს განახორციელებს ეროვნული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. თუ კი ამ ორი მარეგულირებელი მექანიზმის მოთხოვნები განსხვავებული ასპექტისაა, მგფ დაიცავს მათგან უმკაცრესს.

ქვე-პროექტის შემოთავაზებების სკრინინგი, მათი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების და შემოთავაზებული შერბილების ღონისძიებების შეფასება ჩატარდება მგფ-ს მიერ. ქვე-პროექტის წინადადებების მარტივი სკრინინგი გაადგენს, თუ რა ტიპის გარემოზე ზემოქმედების შეფასებაა საჭირო ქვე-პროექტის ტიპოლოგიის მიხედვით.

იმ ქვე-პროექტებმაც კი, რომლებიც ეკოლოგიურად მდგრადია, შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება იქონიონ, თუ კი სამშენებლო სამუშაოები ამ ზემოქმედებების უგულებელყოფით იქნება ჩატარებული. აქ იგულისხმება მტვრის წარმოქმნა, ხმაური და სამშენებლო ნარჩენები, ტრანსპორტის შეფერხება მძიმე სამშენებლო მანქანების მოძრაობის

გამო, მიწის და მწვანე საფარის დეგრადაცია, და ა.შ. ამის თავიდან ასაცილებლად, სამშენებლო სამუშაოებში ჩართულ კონტრაქტორებს უნდა ჰქონდეთ თანდართული ნიმუშის მიხედვით შედგენილი დეტალური ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები (ESMPs)/გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშები (ESRs) (დანართი 3). ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმები (ESMPs)/გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშები (ESRs) სატენდერო პაკეტებში უნდა იყოს შეტანილი, რათა ტენდერის მონაწილეებმა შეძლონ შერბილების ღონისძიებების ხარჯების გათვალისწინება სამუშაოთა მოცულობების უწყისებში და თან უნდა დაერთოს სამშენებლო კონტრაქტებს, რათა მათი განხორციელება სავალდებულო იყოს სამუშაოს განმახორციელებლისათვის. დამკვეთი ადგილობრივი მთავრობა და მგფ (და თუ საჭიროა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პერსონალი) მონიტორინგს გაუწევს სამშენებლო მოედნებს იმისათვის, რომ კონტრაქტორებმა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები გარემოს უსაფრთხოების ჩათვლით. შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს კონტრაქტით განსაზღვრული ჯარიმები და სანქციები, მათ შორის – უკიდურესი ზომა – კონტრაქტის შეჩერება იმ დრომდე, სანამ გამოსავალი იქნება ნაპოვნი და კონტრაქტორი დააკმაყოფილებს გარემოს დაცვით მოთხოვნებს.

2.3. გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება ქვე-პროექტის ციკლის სხვადასხვა ეტაპზე

მგფ გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის პრინციპებს გამოიყენებს ქვე-პროექტის განხორციელების სამ ეტაპზე:

- იდენტიფიკაციის ეტაპი
- შეფასების ეტაპი
- განხორციელების ეტაპი

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი იდენტიფიკაციის ეტაპზე

ქვე-პროექტების წინასწარი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ძირითადი მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ის პროექტები, რომელთაც პოტენციურად ძლიერი ზემოქმედება გააჩნიათ გარემოზე, და რომლის არსებითად შემცირება შეუძლებელია, ამოღებული იქნას დაფინანსებიდან და შემდგომი განხილვისთვის შერჩეული ქვე-პროექტებისთვის განსაზღვრულ იქნას შესაბამისი გარემოსდაცვითი კატეგორია. ამ ეტაპზე ხორციელდება:

- ქვე-პროექტზე განაცხადის გარემოს დაცვითი ასპექტების შესწავლა პროექტის მოსალოდნელი სოციალური და გარემოს დაცვითი ზემოქმედების ზოგადი ხასიათისა და მასშტაბების იდენტიფიკაციის მიზნით;
- ქვე-პროექტის SRMIDP-ის და ამავე პროექტის დამატებითი დაფინანსების (AF) ფარგლებში დაფინანსების შესაბამისობის დამადასტურებელი მონაცემების შეგროვება და იმის დასაბუთება, რომ ქვე-პროექტის განხორციელება საქართველოში კანონიერების ფარგლებში მოხდება. პრობლემური ქვე-პროექტების შემთხვევაში,

განიხილება პროექტირების შესაძლო ალტერნატივები - თუ ამგვარი ალტერნატივები არ არსებობს ან ამგვარი ალტერნატივების განხორციელება შეუძლებელია მისაღები ხარჯების ფარგლებში - ქვე-პროექტი ცხადდება მსოფლიო ბანკის სესხის ფარგლებში დაფინანსებისათვის შეუსაბამოდ. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელ ადგილობრივ მთავრობას მიეწოდება ინფორმაცია სხვა შეღავათიანი დაფინანსების წყაროების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

- განისაზღვრება ქვე-პროექტის შესატყვისი, მსოფლიო ბანკის შესაბამისი უზრუნველყოფის პოლიტიკები და ის პროცედურები, რომლებიც მოცემული პოლიტიკით არის მოთხოვნილი;
- ქვე-პროექტისთვის A, B ან C კატეგორიის მინიჭება და შესაბამისი შემდგომი გარემოს დაცვითი სამუშაოების განსაზღვრა, რომელთა განხორციელება საჭიროა მოცემული ქვე-პროექტის შემდგომი დამუშავებისათვის.

წარმოდგენილი ქვე-პროექტის წინასწარი განხილვის ფარგლებში, მგფ ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

- წარმოდგენილი ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე ფიზიკური გარემოს შეფასება;
- ქვე-პროექტის ტერიტორიაზე მიწისა და რესურსების გამოყენებაზე დაწესებული შეზღუდვების შესწავლა;
- პოტენციურად გარემოსა და სოციალურ გარემოზე ზიანის მომტანი ზემოქმედების სახისა და მასშტაბის განსაზღვრა;
- კონკრეტული პრევენციული და /ან შემამსუბუქებელი ღონისძიებების განხორციელების საჭიროების შეფასება.

გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიში მზადდება ყველა ქვე-პროექტისთვის სტანდარტული ნიმუშის შესაბამისად (იხ. წინამდებარე დოკუმენტის დანართი 1).

შეფასების ეტაპზე საბოლოო გარემოს დაცვითი შეფასება

შეფასების სტადიაზე გარემოს დაცვითი შეფასების მიზნებია:

- იმის უზრუნველყოფა, რომ ქვე-პროექტს სამუშაოების დაწყებამდე მიღებული აქვს ან/და მიიღებს ყველა აუცილებელ ნებართვას და დამტკიცებას და არ არღვევს გარემოს დაცვასთან დაკავშირებით არსებულ რეგულაციებს;
- იმის გადამოწმება, რომ ყველა შესატყვისი პრევენციული და ზემოქმედების შემამცირებელი ზომები დაგეგმილია და აუცილებელი საბიუჯეტო და /ან ტექნიკური რესურსები გამოყოფილია მათ განსახორციელებლად;
- მომზადებულია რეკომენდაციები ქვე-პროექტის განხორციელების ფაზაში გარემოს დაცვის საკითხების მონიტორინგის მასშტაბებისა და მექანიზმების შესახებ.

შეფასების ფარგლებში, მგფ-ს გარემოს დაცვის სპეციალისტებმა/კონსულტანტებმა უნდა განახორციელონ შემდეგი:

- ეწვიონ ქვე-პროექტის ტერიტორიას, გადაამოწმონ გარემოს საბოლოო შეფასების დასკვნები, მონაწილეობა მიიღონ საჯარო განხილვის შეხვედრ(ა)(ებ)ში;
- შეადარონ ქვე-პროექტის საბოლოო დოკუმენტაცია წინასწარი გარემოს დაცვითი შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს; გადაამოწმონ, რომ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ნებართვა (მიწისა და რესურსების გამოყენებასთან, ნარჩენების ლიკვიდაციასთან, და სანიტარულ ინსპექციასთან დაკავშირებული ნებართვების ჩათვლით) და დამტკიცებები ადგილზე ან შესაძლებელია მათი მიღება;
- შეაჯამონ გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების შეფასების შედეგებთან დაკავშირებული დასკვნები;
- შეისწავლონ ქვე-პროექტის დოკუმენტაცია შემდეგის შემოწმების მიზნით: (i) გარემოსდაცვითი შეფასება მოხდა რეგულაციების შესაბამისად და შეფასების განხორციელებისას გათვალისწინებული იყო გარემოს წინასწარი შეფასებისას წარმოდგენილი რეკომენდაციები; (ii) შეფასების ეტაპზე საჭირო ყველა ნებართვა და დამტკიცება გათვალისწინებულ იქნა; (iii) შესაბამისი პრევენციული და ზემოქმედების შემამსუბუქებელი ღონისძიებები დაგეგმილია და აუცილებელი რესურსები გამოყოფილია, ან მიღებულია ისეთი ალტერნატიული გადაწყვეტილება (და წარმოდგენილია შესაბამისი საბუთები), რის გამოც ამგვარი ღონისძიებების განხორციელება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების სპეციალისტები სრულად იქნებიან ჩართულები მგფ-ს მიერ განხორციელებული ყველა ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მომზადების, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში, ისინი ასევე ვალდებულები არიან:

- ჩაატარონ გარემოს დაცვითი და სოციალური სკრინინგი, შემოთავაზებული ქვე-პროექტების კლასიფიკაცია და განსაზღვრონ, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული ქვე-პროექტები დაფინანსების მოთხოვნებს, გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების თვალსაზრისით;
- მოამზადონ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების (ESMPs)/გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშების (ESRs) პროექტები და წარუდგინონ აღნიშნული დოკუმენტები გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს განსახილველად და მსოფლიო ბანკში წარსადგენად;
- მოამზადონ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ჩანაწერები, ქვე-პროექტის შეფასების ანგარიშში (SAR) შესატანად;
- მოამზადონ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების (ESMPs)/გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშების (ESRs) პროექტები გასაჯაროების მიზნით და საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარების შესახებ საჯარო განცხადებების შესამუშავებლად, განსახლების სპეციალისტთან თანამშრომლობის საფუძველზე;
- მონაწილეობა მიიღონ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებთან (ESMPs) დაკავშირებით გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებში,

მომზადონ საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები, გადაიღონ ფოტოები და მიიღონ მონაწილეების საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები;

- განხორციელონ ქვე-პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი და დოკუმენტურად დაასაბუთონ მონიტორინგის შედეგები, შესაბამის ფოტო-მასალასთან ერთად;
- გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს წარუდგინონ ჩანაწერები, გარემოს დაცვითი და სოციალური შესრულების ანალიზთან ერთად, პროექტის მიმდინარეობის ამსახველ საერთო ანგარიშში შესაყვანად.

გარდა აღნიშნულისა, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სპეციალისტი შრომის ჯანდაცვის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს წარუდგენს ჩანაწერებს (ანგარიშს) სამუშაო ადგილზე ჯანდაცვის და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზის ასახვით, პროექტის მიმდინარეობის ამსახველ საერთო ანგარიშში შესაყვანად.

ქვე-პროექტის დოკუმენტაცია და გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების შედეგები B კატეგორიის ყველა ქვე-პროექტისთვის, ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება შეფასების ეტაპზე და შესაბამის მხარეებთან მოხდება კონსულტაციების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მათი დასაბუთებული შენიშვნების სათანადო ასახვას, რათა ქვე-პროექტის განხორციელება წინააღმდეგობაში არ იყოს ადგილობრივი საზოგადოების ინტერესებთან.

2.4. მცირე მოცულობის სამშენებლო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების გარემოს დაცვითი და სოციალური შეფასება

მსოფლიო ბანკის მიერ მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო ღონისძიებებისთვის მომზადებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) გამარტივებული საკონტროლო ჩამონათვალის ნიმუში, შეიძლება გამოყენებული იქნას B კატეგორიის ზოგიერთი ქვე-პროექტისთვის (იხ. წინამდებარე დოკუმენტის დანართი 4). საკონტროლო ჩამონათვალში მოცემულია ქვე-პროექტის ტერიტორიაზე ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს გამარტივებული აღწერა, მიწის მფლობელობის და გამოყენების, წყლის რესურსების და ბუნებრივი სამშენებლო მასალების წყაროების არსებობა, დაგეგმილი სამუშაოებისათვის აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების იდენტიფიკაციის და ადგილობრივ საზოგადოებასთან კონსულტაციების საჭიროების გამარტივებული აღწერის ნიმუში. ნიმუშში წარმოდგენილია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციურად ძლიერი ზემოქმედების სრული ჩამონათვალი, ასევე მოცემულია ზემოქმედების შემამსუბუქებელი ღონისძიებების ზოგადი ტიპები, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს მოცემული ჩამონათვალის შესწორება ან/და გაფართოება. გარემოს დაცვითი და სოციალური მონიტორინგის გეგმის მომზადება უნდა მოხდეს შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების საფუძველზე.

3.3 გარემოსდაცვითი და სოციალური მონიტორინგი განხორციელების სტადიაზე

მშენებლობის ეტაპზე, გარემოს დაცვის კონსულტანტების ძირითადი პასუხისმგებლობები მგფ-ის წინაშე მოიცავს გარემოს დაცვისა და ზემოქმედების შემარბილებელი იმ

ღონისძიებების შესატყვისი განხორციელების მონიტორინგს, რომლებიც წარმოდგენილი იყო ქვე-პროექტის საპროექტო დოკუმენტებსა და შესაბამის ანგარიშებში (ESMPs/ESRs), ასევე იმ მოულოდნელი გარემოს დაცვითი და სოციალური ზემოქმედების ფაქტების იდენტიფიკაციას, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ქვე-პროექტის განხორციელების ეტაპზე; ამასთან, მათი პასუხისმგებლობაა ამ გაუთვალისწინებელი ზემოქმედების მართვა შესაბამისი ზომების მიღების გზით.

ქვე-პროექტების გარემოს დაცვითი ზედამხედველობის პროცესის დოკუმენტური აღწერა სავალდებულოა. თითოეული აქტიური ქვე-პროექტის ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშების მომზადება უნდა განხორციელდეს რეგულარულად. დოკუმენტში აღწერილი უნდა იყოს თითოეული ESMP-ის/ESR-ის მიერ რეკომენდირებული შემარბილებელი ღონისძიების ხარისხი და მასშტაბი. ადგილზე გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს ყოველთვიური სავალდებულო გარემოს დაცვითი და სოციალური მონიტორინგის საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენებით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს ადგილზე გადაღებული ფოტო-მასალა, მოკლე ჩანაწერები (კომენტარები) გამოვლენილ პრობლემებზე და წინა ვიზიტისას დაფიქსირებული პრობლემების გადასაჭრელად მიღებული ზომები. წინამდებარე დოკუმენტს დანართად ერთვის ყოველთვიური სავალდებულო გარემოს დაცვითი და სოციალური მონიტორინგის საკონტროლო ჩამონათვალის ნიმუში.

მგფ-ს სამუშაოების გარემოს დაცვითი და სოციალური მონიტორინგი შეუძლია განახორციელოს მხოლოდ საკუთარი ადამიანური რესურსების გამოყენებით, ან დამატებითი საკონსულტაციო მომსახურების გამოყენებით, საჭიროების შესაბამისად. ორივე შემთხვევაში, მგფ-ს პასუხისმგებლობაში შედის მსოფლიო ბანკისათვის SRMDIP-ის და ამვე პროექტის დამატებითი დაფინანსების ფარგლებში ქვე-პროექტების (სამუშაოების) გარემოს დაცვითი და სოციალური შესაბამისობის სტატუსის შესახებ ანგარიშების მომზადება. ამ ტიპის ანალიტიკური ანგარიშები, რომლებიც მომზადებულია ყოველთვიური სავალდებულო მონიტორინგის საფუძველზე, შეიძლება შეტანილ იქნას მთელი პროექტის რეგულარული პროგრესის ანგარიშებში.

4.3. სოციალური და გენდერული საკითხები

სოციალური ანგარიშვალდებულება/სამოქალაქო ჩართულობა/უკუკავშირი

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, სადაც მოხდება ქვე-პროექტების განხორციელება, მგფ ჩაატარებს სამუშაო შეხვედრებს სოციალური ანგარიშვალდებულების და დებულების საკითხებზე, ადგილობრივი ხელისუფლების და სერვის-პროვაიდერების ოპერირების და მოვალეობების ეფექტიანობის გაძლიერების მიზნით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამჭირვალეობის და ანგარიშვალდებულების საკითხებში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას სრულად. განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება მოხდება მოსახლეობის ინტერესების თანაბარ ასახვასა და გათვალისწინებაზე, თვით-მმართველობით პროცესში.

მგფ უზრუნველყოფს არსებითი ხასიათის საჯარო კონსულტაციების გამართვას ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ საზოგადოებებთან და აწარმოებს პერიოდულად დიალოგებს საზოგადოების ჯგუფების წარმომადგენლებთან. საზოგადოებებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები იქნებიან წარმოდგენილები, მგფ უზრუნველყოფს აღნიშნული ჯგუფების (ჯგუფის მთლიანად, ან მათი წარმომადგენლის) ჩართულობას პროექტთან დაკავშირებულ ყველა სახის საქმიანობაში, რათა მათ თანასწორი სარგებელის მიღება შეძლონ პროექტისაგან. ასევე ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა შორის იყვნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. ყურადღება გამახვილდება კონსულტაციებში მათ აქტიურ მონაწილეობაზეც.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები ინფორმირებულები იქნებიან და მონაწილეობას მიიღებენ ქვე-პროექტის ციკლის განხორციელებაში, სხვადასხვა ეტაპებზე: წინა-საპროექტო ფაზა, საპროექტო ფაზა, მშენებლობის ფაზა, ახალი ობიექტების ექსპლოატაციის და ტექნიკური მომსახურების ფაზა. დაგეგმილი ღონისძიებების საშუალებით (შეხვედრები, შეკრებები, სამუშაო შეხვედრები, ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი), მგფ უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ საკითხების წამოჭრის, შეთავაზებების, შეკითხვების დასმის და/ან პროექტთან დაკავშირებით განმარტებების მოთხოვნის შესაძლებლობა. დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებს მოიწვევენ და ისინი შეძლებენ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვას, ასევე ინფორმაციის გამოთხოვას, და წერილობითი საჩივრების დაწერას/გამოგზავნას.

გენდერი

მგფ უზრუნველყოფს კონსულტაციებს სოციალურ და გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხელს შეუწყობს ქალთა შესაძლებლობების გაძლიერებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, და გენდერული ბალანსის გაუმჯობესებას, ქვე-პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. მგფ უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი ქალები, ისევე როგორც მამაკაცები, აქტიურად იყვნენ ჩართულები ყველა საკითხში.

გენდერი და განსახლება

მგფ განსაზღვრავს გენდერის ანალიზისთვის საჭირო ძალისხმევის დონეს და შესაბამისად მოახდენს სათანადო მიდგომის შემუშავებას. საყურადღებოა, რომ კომპლექსური შეფასების (due diligence) განხორციელება აუცილებელია მცირე-ნაყოფიანი მიწის ჩამორთმევის შემთხვევაშიც კი, ხოლო საარსებო წყაროზე და ფიზიკურ ადგილმონაცვლეობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე პროექტების მომზადება ყოველთვის უნდა მოიცავდეს კომპლექსური ხასიათის გენდერულ ანალიზს. მგფ მოახდენს გენდერის მიხედვით დაყოფილი და გენდერის რელევანტური მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა აქტივების საკუთრების საკითხი, მფლობელის გარეშე (მფლობელის არყოფნის გამო) არსებული საკუთრების დონე, მონაწილეობის ხარისხი და საჩივრების ჩანაწერების ხასიათი, შესაძლოა შეგროვდეს და მოხდეს მათი ანალიზი,

გენდერული სპეციფიკურობის მიხედვით. სოციალური მონიტორინგი განხორციელდება (პროექტის) განხორციელების ეტაპზე.

სამშენებლო ფაზის განმავლობაში, მგფ მოახდენს მიმდინარე ქვე-პროექტების ინსპექტირებას, პროექტის ფარგლებში სოციალური და გენდერული ინდიკატორების და ქვე-პროექტის საპროექტო დოკუმენტებით, ESR-ით და ESMP-ით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების სათანადო განხორციელების მონიტორინგის მიზნით. ინსპექტირება ასევე მიზნად ისახავს მოულოდნელი ხასიათის ისეთი უარყოფითი სოციალური ზემოქმედების გამოვლენას, რაც შესაძლოა წარმოიქმნას ქვე-პროექტის განხორციელების პროცესში. მგფ-მა უნდა მოახდინოს აღნიშნული, გაუთვალისწინებელი ზემოქმედების მართვა, შესაბამისი ზომების მიღების გზით.

სოციალური მონიტორინგი/მდგრადობა და სოციალური ზემოქმედება

სოციალური მონიტორინგი (მდგრადობა, შენარჩუნება (მოვლა-პატრონობა) და ზემოქმედების შეფასება) უნდა ჩატარდეს ქვე-პროექტის დასრულებიდან ერთ წელიწადში. მგფ მონიტორინგს გაუწევს ქვე-პროექტის სოციალური ინდიკატორების მდგრადობას, სერვის-პროვაიდერებთან დასკვნების და რეკომენდაციების გაზიარების მიზნით, ხოლო პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართავს შესაბამის უწყებებს, სათანადო ზომების მიღებისათვის.

4.4. საჩივრების მოგვარების მექანიზმი

ქვე-პროექტების განხორციელების პროცესში შესაძლოა წარმოიქმნას გარკვეული პრობლემები, გარემოზე უარყოფით ზემოქმედებასთან და მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებულ დავებთან მიმართებაში, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს საპროექტო საქმიანობით. მაგ.: სამშენებლო საქმიანობის ინტენსიური გრაფიკი; სამშენებლო-სატრანსპორტო ნაკადის მიუღებელი დროის განრიგი; ნარჩენები; სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული ხმაური და ჰაერის დაბინძურება; ეკოლოგიური ბალანსის დარღვევა; კომპენსაცია, ან განსახლებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რაც შესაძლოა გამოიწვიოს პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებამ.

საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული სისტემის შესაბამისად, მოსახლეობის და დაინტერესებული მხარეების გარემოსდაცვითი ხასიათის საჩივრების მოგვარებაზე პასუხისმგებელია რამდენიმე უწყება. ქვე-პროექტის ტერიტორიაზე გარემოს დაცვაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება შემდეგ ადმინისტრაციულ უწყებებს: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციებს. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას და შესაბამის მხარეს, გარემოზე პროექტით გამოწვეულ ზემოქმედებასთან დაკავშირებული საჩივრები შეუძლიათ გაუგზავნონ უშუალოდ ზემოთაღნიშნულ ადმინისტრაციულ უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გარემოს დაცვაზე.

საჩივრების მოგვარების მექანიზმი (GRM) შეიქმნება პროექტისთვის, ქვე-პროექტებთან დაკავშირებული როგორც გარემოს დაცვითი, ასევე სოციალური საკითხების

მოსაგვარებლად. მგფ-ს, როგორც SRMIDP-ის განმახორციელებელ სააგენტოს, ეკისრება სრული პასუხისმგებლობა პროექტის განხორციელებასა და გარემოსდაცვითი რეგულაციების შესრულებაზე. საჩივრების მოგვარების მექანიზმის (GRM) მუშაობისთვის, საკონტაქტო პირი დაინიშნება როგორც მგფ-ს მხრიდან, ასევე თითოეული მუნიციპალიტეტიდან, რომელიც აწარმოებს საჩივრების ჟურნალს. საკონტაქტო პირებს უნდა ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაცია პროექტის განხორციელების მთელი ციკლის განმავლობაში, საჩივრების მოგვარების პროცედურების ხელშეწყობის და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის აღნიშნული მექანიზმის მარტივად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

საჩივრების მოგვარების პროცესი მოიცავს ორ ეტაპს, მათ შორის:

I ეტაპი - პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის საჩივრის (პრეტენზიის) არაოფიციალური (ზეპირი) განხილვა. აღნიშნულ ეტაპზე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის საჩივარი უნდა განიხილოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ არაოფიციალურად (ზეპირად). იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის საჩივრის მოგვარება I ეტაპზე ვერ მოხერხდება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს უნდა ეცნობოს საჩივრების მოგვარების პროცედურების მე-2 ეტაპის შესახებ. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს აქვს უფლება, რომ ისარგებლოს მე-2 ეტაპის პროცედურებით, I ეტაპის პროცედურების გამოყენების/გავლის გარეშე.

II ეტაპი - პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის საჩივრების განხილვა მგფ-ს მიერ. პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში, მგფ-მა უნდა განიხილოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირის ის წერილობითი საჩივრები, რომელთა დაკმაყოფილება არ მოხდა პირველ ეტაპზე. მგფ-ში არსებობს საჩივრების მოგვარების კომიტეტი (GRC) და საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული კომიტეტი გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

I ეტაპის საჩივრების მოგვარების პროცედურები დავის მოგვარების არაოფიციალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რაც შესაძლებლობას აძლევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს, რომ მოაგვარონ უთანხმოება ყოველგვარი ოფიციალური პროცედურების, დროში გაჭიანურების და შეფერხებების გარეშე. განსახლების საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ საჩივრების მოგვარების მსგავსი არაოფიციალური მექანიზმი ხელს უწყობს საჩივრების უმრავლესობის მოგვარებას, ოფიციალური პროცედურების (ე.ი. ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული პროცედურების, ან სასამართლო დავების) გარეშე. აღნიშნული მექანიზმი პროექტის შეუფერხებელი განხორციელების და საჩივრების დროულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებულები საჩივრების მოგვარების მექანიზმის, მისი ფუნქციების, პროცედურების, საკონტაქტო პირების შესახებ. ისინი ასევე ინფორმირებულები უნდა იყვნენ საჩივრების მომზადების წესების შესახებ. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ მათ მიეწოდებათ ზეპირად და ბუკლეტების საშუალებით, რომლებიც დარიგდება საკონსულტაციო შეხვედრების დროს. დავების მოგვარების მექანიზმის ძირითადი პუნქტების შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია

ხელმისაწვდომი იქნება სამშენებლო ტერიტორიაზე განთავსებულ საინფორმაციო ბანერებზე.

5. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური მექანიზმები

გარემოს დაცვა და სოციალური მართვა, SRMIDP-ის და ამავე პროექტის დამატებითი დაფინანსების (AF) ფარგლებში, განხორციელდება მგფ-ს მიერ, გარემოს დაცვის სამსახურის და შრომის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საშუალებით. გარემოს დაცვის სამსახურს წარმოადგენს სამსახურის უფროსი და გარემოს დაცვის, ბენეფიციარებთან ურთიერთობის/საჩივრების მოგვარების, განსახლების, სოციალური და გენდერული საკითხების სპეციალისტები.

გარემოს დაცვის სამსახურის უფროსი ვალდებულია, რომ:

- უხელმძღვანელოს გარემოს დაცვითი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელების პროცესს;
- უზრუნველყოს შესაბამისობა მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვის პოლიტიკასთან და გარემოს დაცვის ეროვნულ კანონმდებლობასთან;
- გააკონტროლოს გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ანგარიშების ხარისხი და ადეკვატურობა, იმისთვის, რომ არცერთი ქვე-პროექტი არ დაექვემდებაროს მიღება/დამტკიცებას, თუ ის განეკუთვნება გარემოს დაცვის A კატეგორიას და/თუ ის უარყოფითად ცვლის წყლის ხარისხს, ან წყლის რაოდენობას საერთაშორისო წყლებში, ან თუკი მასზე ზემოქმედებას ახდენს სხვა შესაძლო წყალ-მოხმარება;
- განიხილოს და უზრუნველყოს ქვე-პროექტის შეფასების ანგარიშების, გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშების (ESRs), ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების (ESMPs) ხარისხი;
- უზრუნველყოს გარემოს დაცვის სამსახურის პერსონალის ჩართულობა მგფ-ს ყველა სახის საქმიანობაში, რაც უსაფრთხოების პოლიტიკის გამოყენებასთან არის დაკავშირებული;
- შეაფასოს გარემოსდაცვითი შესრულება (შესაბამისობა) მგფ-ს მიერ განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში და უზრუნველყოს ხარისხიანი ანგარიშგება შიდა და გარე დამკვეთების და მარეგულირებელი ორგანოების წინაშე, გარემოს დაცვის პოლიტიკის გამოყენების შესახებ;
- დაუყონებლივ აცნობოს მგფ-ს მენეჯმენტს, კონტრაქტორების მიერ გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულების მონიტორინგისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების და პრობლემების აღმოფხვრის მიზნით გაცემული რეკომენდაციების შესახებ;
- უზრუნველყოს გარემოს დაცვის დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობა, წინამდებარე დოკუმენტის და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე; კოორდინაცია გაუწიოს კონსულტაციებს შესაბამის მხარეებთან, ESR-ების, ESMP-ების საკითხებზე და მგფ-ს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარემოს დაცვით და სოციალურ ასპექტზე, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული

პირებისთვის; მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების უკუკავშირის გარემოს დაცვის დოკუმენტებში შეტანის თაობაზე;

- ზედამხედველობა გაუწიოს საჩივრების მოგვარების მექანიზმის მუშაობას და უზრუნველყოს მისი ეფექტიანობა.

გარემოს დაცვის სპეციალისტი

გარემოს დაცვის სპეციალისტი სრულად უნდა იყოს ჩართული მგფ-ს მიერ განხორციელებული ყველა ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მომზადების, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. გარემოს დაცვის სპეციალისტი ვალდებულია, რომ:

- ჩაატაროს გარემოს დაცვითი სკრინინგი, შემოთავაზებული ქვე-პროექტების კლასიფიკაცია და განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული ქვე-პროექტები დაფინანსების მოთხოვნებს, გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების თვალსაზრისით;
- მოამზადოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების (ESMPs)/გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშების (ESRs) პროექტები და წარუდგინოს აღნიშნული დოკუმენტები გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს განსახილველად და მსოფლიო ბანკში წარსადგენად;
- მოამზადოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ჩანაწერები, ქვე-პროექტის შეფასების ანგარიშში (SAR) შესატანად;
- მოამზადოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმების (ESMPs)/გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშების (ESRs) პროექტები გასაჯაროების მიზნით და საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარების შესახებ საჯარო განცხადებების შესამუშავებლად, განსახლების სპეციალისტთან თანამშრომლობის საფუძველზე;
- მონაწილეობა მიიღოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმებთან (ESMPs)/გარემოს დაცვითი და სოციალური მიმოხილვის ანგარიშებთან (ESRs) დაკავშირებით გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებში, მოამზადოს საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები, გადაიღოს ფოტოები და მიიღოს მონაწილეების საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები;
- განახორციელოს ქვე-პროექტების გარემოსდაცვითი მონიტორინგი და დოკუმენტურად ასახოს (მონიტორინგის) შედეგები, შესაბამის ფოტო-მასალასთან ერთად;
- გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს წარუდგინოს ჩანაწერები, გარემოს დაცვითი (მოთხოვნების) შესრულების ანალიზთან ერთად, პროექტის მიმდინარეობის ამსახველ საერთო ანგარიშში შესაყვანად.

განსახლების სპეციალისტი

განსახლების სპეციალისტი სრულად უნდა იყოს ჩართული მგფ-ს მიერ განხორციელებული ყველა ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მომზადების, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. განსახლების სპეციალისტი ვალდებულია, რომ:

- განახორციელოს შემოთავაზებული ქვე-პროექტების განსახლების სკრინინგი და განსაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული ქვე-პროექტები განსახლების მოთხოვნებს, სოციალური თვალსაზრისით;
- ითანამშრომლოს მონაცემების შეგროვებაზე და განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადებაზე პასუხისმგებელ, პროექტთან დაკავშირებულ მხარეებთან, შესაბამისი მონაცემების (მათ შორის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ნუსხის-კვლევისა და აღწერის საფუძველზე, საკადასტრო რუკების და მიწის/საკუთრების დოკუმენტების) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროებისამებრ;
- მონაწილეობა მიიღოს შესაბამის მხარეებთან გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებში, მოამზადოს აღნიშნული საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები, გადაიღოს ფოტოები და მიიღოს მონაწილეების საკონტაქტო ინფორმაცია და მათი ხელმოწერები;
- მოამზადოს დოკუმენტები, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებთან კომპენსაციასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისთვის;
- მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებებში;
- მონაწილეობა მიიღოს შესაბამის და საჩივრების მოგვარების კომიტეტის შეხვედრებში (საჭიროებისამებრ);
- აწარმოოს ქვე-პროექტების განსახლების მონიტორინგი და დოკუმენტურად ასახოს აღნიშნული მონიტორინგის შედეგები, ფოტო-მასალასთან ერთად;
- ჩანაწერები, განსახლების შესრულების ანალიზთან ერთად, წარუდგინოს გარემოს დაცვის სამსახურის უფროსს, პროექტის მიმდინარეობის ამსახველ საერთო ანგარიშში შესაყვანად.

ბენეფიციარებთან ურთიერთობის/საჩივრების მოგვარების სპეციალისტი

ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი ჩართული უნდა იყოს თითოეული ქვე-პროექტის საჯარო კონსულტაციების პროცესში. აღნიშნული სპეციალისტი საჩივრების მოგვარების ძირითადი წარმომადგენელი უნდა იყოს მგფ-ს მხრიდან, და ვალდებულია, რომ შეასრულოს შემდეგი:

- მონაწილეობა მიიღოს (ქვე-პროექტის) მხარეების საკონსულტაციო შეხვედრებში, დანერგოს საჩივრების მოგვარების მექანიზმის სისტემა და პროცედურები, მოამზადოს საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები, გადაიღოს ფოტოები და მიიღოს მონაწილეების საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები;
- საჩივრებისთვის უზრუნველყოს მგფ-ს საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა ქვე-პროექტის ტერიტორიაზე, ადგილობრივი მოქალაქეებისთვის და

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის ადვილად მისასვლელ ადგილებზე;

- უზრუნველყოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ინფორმირება საჩივრების მოგვარების მექანიზმის, ასევე აღნიშნულ პროცესში მათი როლის და პასუხისმგებლობის შესახებ;
- უზრუნველყოს მგვ-ს მიერ მიღებული ნებისმიერი საჩივრის აღრიცხვა, მოგვარება, ან კომპეტენტურ უწყებაში გადამისამართება და მოგვარება;
- საჩივრების მოგვარების ჟურნალის წარმოება.

სოციალური საკითხების და გენდერის სპეციალისტი

სოციალური საკითხების და გენდერის სპეციალისტი ჩართული უნდა იყოს მგვ-ს მიერ განხორციელებული ყველა ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მომზადების, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. სოციალური საკითხების და გენდერის სპეციალისტი ვალდებულია, რომ:

- ჩაატაროს კონსულტაციები სოციალურ საკითხებზე და გენდერზე, ხელი შეუწყოს ქალთა პოტენციალის განვითარებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით და გენდერული ბალანსის გაუმჯობესებას, ქვე-პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე;
- უზრუნველყოს ქალების, ისევე როგორც მამაკაცების, აქტიური მონაწილეობა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ყველა ასპექტში;
- განსაზღვროს გენდერული ანალიზისთვის საჭირო მალისხმევის დონე და შეიმუშავოს შესაბამისი მიდგომა; მოახდინოს გენდერის მიხედვით დაყოფილი და გენდერის რელევანტური მონაცემების შეგროვება და ანალიზი;
- განიხილოს აქტივების საკუთრების საკითხი, მფლობელის გარეშე (მფლობელის არყოფნის გამო) არსებული საკუთრების დონე, მონაწილეობის ხარისხი და საჩივრების დოკუმენტების ხასიათი, რაც შესაძლოა შეგროვდეს და მოხდეს მათი ანალიზი, გენდერული სპეციფიკურობის მიხედვით.
- განახორციელოს სოციალური მონიტორინგი განხორციელების ეტაპზე;
- მოახდინოს მიმდინარე ქვე-პროექტების ინსპექტირება, პროექტის ფარგლებში სოციალური და გენდერული ინდიკატორების და ქვე-პროექტის საპროექტო დოკუმენტებით, ESR-ებით და ESMP-ებით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების სათანადო განხორციელების მონიტორინგის მიზნით;
- გამოავლინოს მოულოდნელი ხასიათის ისეთი უარყოფითი სოციალური ზემოქმედება, რაც შესაძლოა წარმოიქმნას ქვე-პროექტის განხორციელების პროცესში და უზრუნველყოს აღნიშნული, გაუთვალისწინებელი ზემოქმედების მართვა, შესაბამისი ზომების მიღების გზით;
- განახორციელოს სოციალური მონიტორინგი (მდგრადობა, შენარჩუნება (მოვლა-პატრონობა) და ზემოქმედების შეფასება), ქვე-პროექტის დასრულებიდან ერთ წელიწადში;

- მონიტორინგი გაუწიოს ქვე-პროექტების სოციალური ინდიკატორების მდგრადობას, დასკვნები და რეკომენდაციები გაუზიაროს სერვის-პროვაიდერებს, ხოლო პრობლემების არსებობის შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის უწყებებს, სათანადო ზომების მიღების მიზნით.

შრომის ჯანდაცვის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

შრომის ჯანდაცვის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ორგანიზებას უწევს სამუშაო ტერიტორიებზე უსაფრთხოების და სამუშაო პირობების ეროვნულ კანონმდებლობასთან და კონტრაქტის პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ზედამხედველობას. სამუშაო ტერიტორიებზე გამოვლენილი რისკების შეფასების საფუძველზე, შრომის ჯანდაცვის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მიიღებს გადაწყვეტილებას კონტრაქტორის შესაბამისად გაფრთხილების, ან სამუშაოების შეწყვეტის შესახებ, გასცემს ინსტრუქციებს გამოსასწორებელი სამუშაოების ჩატარებაზე და მონიტორინგს გაუწევს მათ განხორციელებას.

6. ანგარიშგება

ქვე-პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური ზედამხედველობის შედეგების დოკუმენტური ასახვა, სავალდებულოა. ყოველთვიური მონიტორინგის ანგარიშების მომზადება მოხდება სავალდებულო მონიტორინგის საკონტროლო ნუსხების შევსებით, სადაც ასახული უნდა იყოს ESMP-ებით/ESR-ებით განსაზღვრული თითოეული შემარბილებელი ღონისძიების გამოყენების მოცულობა და ხარისხი. საკონტროლო ნუსხებში წარმოდგენილი ინფორმაცია გამყარებული უნდა იყოს (საპროექტო) ტერიტორიაზე გადაღებული, დათარიღებული ფოტო-მასალით.

მსოფლიო ბანკთან გაზიარებული პროექტის განხორციელების კვარტალური ანგარიშების გარემოსდაცვითი თავები უნდა მოიცავდეს უფრო კომპლექსური ხასიათის ანალიტიკურ ინფორმაციას, SRMIDP-ის და ამავე პროექტის დამატებითი დაფინანსების (AF) ფარგლებში გარემოსდაცვითი (მოთხოვნების) შესრულების სტატუსის შესახებ, საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი ESMP-ების/ESR-ების დარღვევების/აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გადახვევების შეჯამებით და ნებისმიერი სისუსტის, ან გამოვლენილი პრობლემური საკითხების მოგვარების მიზნით, სამუშაოების კონტრაქტორების მიმართ გაცემული ინსტრუქციების ასახვით. გამოვლენილი (პრობლემური) საკითხების საპასუხოდ განხორციელებული ქმედება ასევე უნდა აისახოს ანგარიშებში.

კვარტალური ანგარიშების სოციალურ თავებში მოკლედ უნდა აისახოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ/რატომ არ გახდა საჭირო განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) გამოყენება ქვე-პროექტებთან მიმართებაში; ასევე აუცილებელია პროექტის სოციალური საკითხების შესრულების ზოგადი სტატუსის ასახვა. საკონსულტაციო შეხვედრების შემაჯამებელი ინფორმაციები, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კომპენსაციების სტატუსი, საარსებო საშუალებების აღდგენის მიზნით განხორციელებული საქმიანობის და განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP)

განხორციელებისას გამოვლენილი გამოწვევების სტატუსი ასევე საჭიროებს გადმოცემას/ასახვას (კვარტალური ანგარიშების შესაბამის თავებში). აუცილებელია ასევე ქვე-პროექტების იმ ნუსხის წარმოდგენაც, რომლებიც სავარაუდოდ საჭიროებენ იძულებითი განსახლების გარკვეული ფორმის გამოყენებას მომავალ კვარტალში.

ანგარიშებისთვის განსაზღვრული დროის მონაკვეთების მიუხედავად, მსოფლიო ბანკს **დაუყონებლივ** უნდა ეცნობოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მომხდარი ნებისმიერი სახის ინციდენტის, საგანგებო და გაუთვალისწინებელი შემთხვევების შესახებ, რაც პირდაპირ, ან არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, ფიზიკურ-კულტურულ რესურსებზე, სამუშაოების მწარმოებლების პერსონალზე და საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მცხოვრებ საზოგადოებებზე. პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლენილი მოულოდნელი უარყოფითი ხასიათის სოციალური ზემოქმედება ასევე ექვემდებარება ანგარიშებას. მგფ-ს კონსულტანტებმა და პერსონალმა უნდა აწარმოონ მსგავსი სახის უარყოფით ზემოქმედების მონიტორინგი, საზედამხედველო ვიზიტების განხორციელებისას.

გარემოს დაცვის სკრინინგის ფორმა

(A) ზემოქმედების იდენტიფიკაცია

გააჩნია თუ არა ქვე-პროექტს რეალური (მატერიალური) ზემოქმედება გარემოზე?	
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ საზოგადოებასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	

(B) ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

განხილული იქნა თუ არა ქვე-პროექტის მოცემული დიზაინის ალტერნატიული ვარიანტები?	
რა ტიპის ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებებია გათვალისწინებული?	
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რომელი გაკვეთილები იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	
მოხდა თუ არა შესაბამისი ადგილობრივი საზოგადოების ჩართვა და მათი ინტერესებისა და ცოდნის გათვალისწინება ქვე-პროექტის მომზადების პროცესში?	

(C) კატეგორიებად დაყოფა (რანჟირება) და დასკვნა

- ქვე-პროექტი უარყოფილია
- ქვე-პროექტი მიღებულია

ქვე-პროექტის მომზადებისთვის საჭიროა:

- გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის საკონტროლო სია, მცირე მშენებლობის და რეაბილიტაციის (პროექტებისთვის)
- გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის (ანგარიში), გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის ჩათვლით

სოციალური სკრინინგის ფორმა

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის განხორციელების ტერიტორიის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და ექვემდებარება თუ არა დადასტურებას? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)		
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ეკონომიკურ რესურსებზე, როგორცაა მიწა, სამოვრები, წყალი, საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობა დამოკიდებული?		
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (საზოგადოებრივი ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის (მარცვლეული, ხეხილი) ან საოჯახო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბედელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარჩეველი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად.</p>			

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის საკონტროლო ჩამონათვალი მცირე ზომის სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებისათვის

ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები გარემოსდაცვითი მართვის საკონტროლო ჩამონათვალის გამოყენებისათვის:

დაბალი რისკის აქტივობებისათვის, როგორცაა სკოლის ან საავადმყოფოს რეაბილიტაცია, მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვის გუნდმა მოამზადა არსებული, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) ფორმატის ალტერნატიული ფორმატი, რაც იძლევა მეტად მცირე, ან მცირე-მასშტაბის სარეაბილიტაციო ან სამშენებლო აქტივობების შემთხვევაში, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) მომზადებისას უფრო მარტივი მიდგომის გამოყენების შესაძლებლობას. საკონტროლო ჩამონათვალის ტიპის წარმოდგენილი ფორმატი შემუშავებულ იქნა „სანიშნო კარგი პრაქტიკის“ წარმოსადგენად; ფორმატი მართვით მომხმარებლისთვის და შესაბამისობაშია გარემოს დაცვის მოთხოვნებთან.

ESMP-ის საკონტროლო ჩამონათვალის ტიპის ფორმატით ნაცადია ტიპური ზემოქმედების შემარბილებელი მიდგომების გამოყენება სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტების შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს მცირე ზომის, ლოკალიზებულ ზემოქმედებას. მიჩნეულია, რომეს ფორმატი უზრუნველყოფს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) ძირითადი ელემენტების შესაბამისობას OP 4.01. ფარგლებში მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან, გარემოს დაცვით შეფასებასთან მიმართებაში. მოცემული საკონტროლო ჩამონათვალი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სახელმძღვანელო პრინციპები მცირე მოცულობის მშენებლობების განმახორციელებლების (კონტრაქტორების) მიერ და წარმოადგენს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ მსოფლიო ბანკის დაფინანსებული მცირე მოცულობის სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი კონტრაქტორების სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს.

საკონტროლო ჩამონათვალი სამი ნაწილისგან შედგება:

ნაწილი 1 აღწერითი ხასიათისაა, რომელიც ახასიათებს პროექტს და კონკრეტულად აღწერს ინსტიტუციონალურ და საკანონმდებლო ასპექტებს, პროექტის ტექნიკურ შინაარსს, შესაძლებლობების გაზრდის პროგრამის პოტენციურ საჭიროებას და საჯარო კონსულტაციების პროცესის აღწერას. მოცემული ნაწილი მაქსიმუმ ორ-გვერდიანი შეიძლება იყოს, საჭიროების შემთხვევაში მოცემულ ნაწილს ერთვის დანართები დამატებითი ინფორმაციისთვის.

ნაწილი 2 მოიცავს გარემოს დაცვით და სოციალური სკრინინგის საკონტროლო ჩამონათვალს, ამ ნაწილში შეიძლება შემოწმდეს აქტივობები და პოტენციური გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები მარტივად, დიახ/არა ფორმატში. თუ რომელიმე აქტივობა/საკითხი არის გააქტიურებული „დიახ“-ის მონიშვნის გზით, შემდეგი ცხრილი მოიცავს შესაბამის ნაწილს, რომელიც გვამლევს გარკვევით ფორმულირებული მენეჯმენტისა და ზემოქმედების შერბილების ღონისძიებებს.

ნაწილი 3 მოიცავს პროექტის მშენებლობისა და განხორციელების პროცესის საქმიანობის მონიტორინგის გეგმას. ნაწილი 3-ის ფორმატი შეესაბამება ESMP-ის, მსოფლიო ბანკის მოთხოვნებს კატეგორია „ბ“ პროექტებისათვის. მოცემული საკონტროლო ჩამონათვალის ნაწილი 2 და 3 შეტანილი უნდა იქნას კონტრაქტორების სატენდერო დოკუმენტებში, ფასების განსაზღვრა ხორციელდება ტენდერის პროცესში და შესაბამისი განხორციელების ზედამხედველობა ხდება სამუშაოების წარმოების პროცესში.

სარჩევი

- A. ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ
- B. ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ
- C. ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები
- D. მონიტორინგის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური & ადმინისტრაციული			
ქვეყანა			
პროექტის დასახელება			
ქვე-პროექტის დასახელება			
ადგილის სპეციფიური აქტივობების მასშტაბი			
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: (ჩაწერეთ)	უსაფრთხოების სპეციალისტი: (ჩაწერეთ)	
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: (ჩაწერეთ)	სამუშაოების ზედამხედველი: (განისაზღვრება)	სამუშაოების კონტრაქტორი: (განისაზღვრება)
ადგილის აღწერა			
იმ ინსტიტუტის დასახელება, რომლის კუთვნილების რეაბილიტაციის განხორციელებაც არის დაგეგმილი			
იმ ინსტიტუტის მისამართი და მდებარეობა, რომლის კუთვნილების რეაბილიტაციის განხორციელებაც არის დაგეგმილი			
ვინ ფლობს მიწას? ვინ იყენებს მიწას? (ოფიციალურად/არაოფიციალურად)?			
ტერიტორიის გარშემო ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა და სოცო-ეკონომიკური კონტექსტი, საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ მასალების, განსაკუთრებით აგრეგატების, წყლის, ქვიშა-ხრემის მოწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება?			
კანონმდებლობა			
ეროვნული & ადგილობრივი კანონმდებლობა & პროექტის შესაბამისი ნებართვები			
საჯარო კონსულტაცია			
როდის/სად განხორციელდება/ განხორციელდა საჯარო კონსულტაციების პროცესი			
საჩივრების მოგვარების მექანიზმი			
საჩივრების მიღების და შემდგომი პროცედურების ინსტიტუციური მექანიზმების მოკლე აღწერა			
დანართები			
დანართი 1: ტერიტორიის გეგმა/ ფოტო			
დანართი 2: მშენებლობის ნებართვა (საჭიროების შემთხვევაში)			
დანართი 3: ხელშეკრულება სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე სხვა ნებართვები/ ხელშეკრულებები - საჭიროების შესაბამისად			

ინფორმაცია სამუშაოების ზედამხედველის და სამუშაოების შემსრულებლის (კონტრაქტორის) შესახებ, დანართებთან ერთად, მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი, თუმცა, სამუშაოების შერჩეული შემსრულებლის სამუშაო ტერიტორიაზე მობილიზაციამდე.

ნაწილი B: ინფორმაცია უსაფრთხოების დონისძიებების შესახებ

გარემოს დაცვითი/ სოციალური სკრინინგი			
	აქტივობა/ საკითხი	სტატუსი	გააქტიურებული აქტივობა
მოიცავს თუ არა ადგილზე აქტივობა რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილს?	1. შენობის რეაბილიტაცია	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი A
	2. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი A
	3. ნარჩენი წყლების დამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. იხ. ქვემოთ ნაწილი B
	4. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი C
	5. მიწის შექმნა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი D
	6. ზემოქმედება მიწის და საკუთრების გამოყენებაზე	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი E
	7. სახიფათო ან ტოქსიკური მასალები ²	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი F
	8. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი G
	9. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი H
	10. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი I
	11. საზოგადოება და შრომის უზრუნველყოფა და უსაფრთხოება	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	თუ პასუხია „დიახ“, იხ. ქვემოთ ნაწილი J

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა ადგილმონაცვლეობას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შექმნილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს - ჯიხურებს) მიწაზე, რომელიც შექმნა მიმდინარეობს.

² ტოქსიკური/ სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება აზბესტით, ტყვიის შემცველი და სხვა ტოქსიკური საღებავებით, მანვე ზემოქმედების მქონე გამხსნელებით და ა.შ.

ნაწილი C: ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალი
O. ზოგადი პირობები	შეტყობინება და მუშათა უსაფრთხოება	<p>(a) მშენებლობისთვის, ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვებისთვის, ნარჩენების გატანისთვის და სხვ. საკითხების შესრულებისთვის საჭირო კანონიერი ნებართვების მიღება;</p> <p>(b) მომუშავეთა პირადი დაცვის აღჭურვილობა (PPE) შესაბამისობაში უნდა იყოს კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან (მუშაობის დროს ყოველთვის დამცავი ჩაფხუტის ტარება, და საჭიროების შემთხვევაში: ნიღბები და უსაფრთხოების ჩექმები) და უნდა განხორციელდეს კონტროლი აღნიშნული აღჭურვილობის გამოყენებაზე;</p> <p>(c) სამუშაო ტერიტორიებზე განლაგებული მაჩვენებლები მუშებისთვის, სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით შესასრულებელი ძირითადი წესებისა და რეგულაციების შესახებ;</p> <p>(d) თითოეულ სამუშაო ტერიტორიაზე განთავსებული უნდა იყოს ინფორმაცია სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის შესახებ, შესაბამის საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად.</p>
A. ზოგადი რეაბილიტაცია და / ან სამშენებლო აქტივობები	ჰაერის ხარისხი	<p>(a) ინტერიერის ნგრევის განხორციელებისას გამოყენებულ უნდა იქნას სამშენებლო ნარჩენების გამტარი მოწყობილობა (ღარი), პირველი სართულის ზემოთ;</p> <p>(b) ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ტერიტორიაზე; ამასთან, ნარჩენებზე უნდა მოხდეს წყლის მოსხმა, მტვრის შესამცირებლად;</p> <p>(c) პნევმატური ბურღვის/კედლების ნგრევის პროცესის შედეგად მიღებული მტვრის გავრცელება უნდა შეიზღუდოს წყლის მოსხმით და /ან ადგილზე მტვრის საწინააღმდეგო ეკრანის დამონტაჟებით;</p> <p>(d) მიმდებარე ტერიტორია (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს (სამშენებლო) ნარჩენებისგან, მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;</p> <p>(e) სამშენებლო მასალის/ნარჩენების ღია ტიპის წვა სამშენებლო ტერიტორიაზე არ უნდა განხორციელდეს;</p> <p>(f) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები ხანგრძლივი დროის განმავლობაში უქმად არ უნდა იყოს გაჩერებული (საპროექტო) ტერიტორიაზე.</p>
	ხმაური	<p>(a) სამშენებლო ხმაური უნდა შეიზღუდოს დღის სამუშაო საათებით;</p> <p>(b) ოპერირებისას გენერატორების, დახურული ჰაერის კომპრესორების და სხვა მექანიკური დანადგარების ძრავის საფარები დახურული უნდა იყოს, ამასთან, დანადგარები მაქსიმალურად შორს უნდა განთავსდეს დასახლებული ტერიტორიებიდან.</p>
	წყლის ხარისხი	<p>(a) ადგილზე მოხდება ეროზიისა და დანალექების საკონტროლო ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ან შლამის მესერების დამონტაჟება, რაც ხელს შეუშლის დანალექების სამშენებლო ტერიტორიებიდან გასვლას და ახლომდებარე ნაკადებისა და მდინარეების ზედმეტ ამღვრევას;</p> <p>(b) სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების გარეცხვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისად გამოყოფილ ადგილას, სადაც წყლის ჩამონადენი არ დააბინძურებს ბუნებრივი ზედაპირის წყლის ობიექტებს.</p>

	ნარჩენების მართვა	<p>(a) გენერირებული ნარჩენების მოცულობის მინიმუმამდე დაყვანა, შესამღებლობის ფარგლებში;</p> <p>(b) გენერირებული ნარჩენების სხვადასხვა ტიპების განცალკევება და ნარჩენების შესაბამისი სახეობების ხელახალი გამოყენება/რეციკლირება, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი;</p> <p>(c) ნარჩენების სხვადასხვა ტიპებისთვის დროებითი განთავსების ადგილების გამოყოფა. დაუშვებელია საპროექტო ტერიტორიაზე ნარჩენების ზედმეტი მოცულობების აკუმულაცია;</p> <p>(d) საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრის და ზედმეტი მასალის (ინერტული სამშენებლო მასალა) საბოლოო განთავსების მიზნით ოფიციალური ნებართვების მიღება მუნიციპალური უწყებებიდან;</p> <p>(e) სახიფათო ნარჩენების, ან ლიცენზირებული კომპანიებისთვის აღნიშნული ნარჩენების გადაცემის საკითხის დროული გადაწყვეტა.</p>
B. ჩამდინარე წყლების ინდივიდუალური გამწმენდი სისტემა	წყლის ხარისხი	<p>(a) სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების და კანალიზაციის დამუშავების წესები ოფიციალურად უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან;</p> <p>(b) ახლად მოწყობილი მილსადენების გაწმენდის მიზნით სადეზინფექციო გამხსნელების გამოყენების შემდეგ უნდა მოხდეს მათი დეაქტივაცია/გახსნა;</p> <p>(c) ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების მოწყობით უნდა მოხდეს ჩამდინარე წყლის გაწმენდა (მიმღებ წყალში ჩადინებამდე) და ეს უნდა განხორციელდეს ჩამდინარე წყლის ხარისხთან და ჩამდინარე წყლის გაწმენდასთან დაკავშირებით ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრული მინიმალური ხარისხის კრიტერიუმების შესაბამისად.</p>
C. ისტორიული შენობ(ებ)ა	კულტურული მემკვიდრეობა	<p>(a) თუკი შენობა წარმოადგენს ისტორიულ კონსტრუქციას, ან მდებარეობს ასეთ კონსტრუქციასთან ძალიან ახლოს, ან მდებარეობს ისტორიულ რეგიონში, შეტყობინება უნდა გაიგზავნოს და ნებართვა/დამტკიცება მიღებულ უნდა იქნას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან და შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლებისგან, მათ მიერ გაცემული ინსტრუქციები კი მკაცრად უნდა იქნას დაცული;</p> <p>(b) უზრუნველყოფილ უნდა იქნას ისეთი დებულებების შემუშავება, რომელთა დაცვით მოხდება ექსკავაციის, ან მშენებლობის პროცესში აღმოჩენილი არტეფაქტებისა და სხვა შესაძლო „შემთხვევითი აღმოჩენების“ დაფიქსირება და რეგისტრაცია, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან უნდა მოხდეს კონტაქტის დამყარება, ხოლო სამშენებლო სამუშაოები უნდა გადაიდოს ან შეიცვალოს, ზემოთ ხსენებული აღმოჩენების გათვალისწინებით.</p>

აქტივობა	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებების საკონტროლო ჩამონათვალი
D. მიწის შეძენა	მიწის შეძენის გეგმა/ჩარჩო	<p>(a) თუკი მიწის ექსპროპრიაცია არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ ამის განხორციელება საჭიროა, ან თუკი მიწის კანონიერი, ან არაკანონიერი გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლების დაკარგვა არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ შესაძლოა ამგვარ დანაკარგს ქონდეს ადგილი, მსოფლიო ბანკის RMIDP-ის ჯგუფის უფროსი სასწრაფოდ უნდა იქნას ინფორმირებული და მისგან კონსულტაცია იქნას მიღებული;</p> <p>(b) შემდგომი მოქმედებები განხორციელდება RMIDP-ის განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით.</p>
E. ზემოქმედება მიწის და	შეზღუდული/დაკარგული	(a) დაუბრკოლებელი და უსაფრთხო მისასვლელის უზრუნველყოფა სახლებამდე, მიწებამდე და

საკუთრების გამოყენებაზე	მისასვლელი მიწასთან	ადგილობრივი მოსახლეობის სხვა საკუთრებამდე; საგზაო სამუშაოების დაგეგმვა უნდა მოხდეს ისე, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიწამდე და აქტივებამდე მისასვლელი (გზა) შენარჩუნდეს დაბრკოლებების გარეშე. ამისთვის, სამუშაოების და საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება უნდა მოხდეს მაცხოვრებლებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კოორდინაციის საფუძველზე.
	დროებითი ზემოქმედება კერძო საკუთრებაში არსებულ აქტივებზე	<p>(a) თავიდან უნდა იქნას აცილებული კერძო საკუთრების საზღვრის დარღვევა, ან შემთხვევითი დაზიანება (მცირე-ზომის მექანიზმების გამოყენებით, ან სამუშაოების ხელით წარმოებით კედლების და ღობეების სიახლოვეს, საშენებლო მასალის და ნარჩენების დაყრა უნდა მოხდეს კერძო საკუთრებიდან მოშორებით და სხვ.);</p> <p>(b) კერძო საკუთრების შემთხვევით დაზიანების შემთხვევაში, სასწრაფოდ უნდა მოხდეს მისი აღდგენა თავდაპირველ, ან უკეთეს მდგომარეობამდე;</p> <p>(c) კერძო საკუთრებაზე მოსალოდნელი დროებითი ზემოქმედების შემთხვევაში, აცნობეთ მფლობელებს წინასწარ და გარანტირებულად დაპირდით მის აღდგენას, მიიღეთ მფლობელების წერილობითი თანხმობა ინტერვენციაზე და დაუყოვნებლივ აღადგინეთ დაზიანება თავდაპირველ, ან უკეთეს მდგომარეობამდე;</p> <p>(d) სამუშაოების წარმოების პროცესში მიწის შეძენის მოულოდნელი საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში, არ შეხვიდეთ შესაბამის (ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ) ტერიტორიაზე, მგვ-ს მიერ განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე და მის სრულ განხორციელებამდე.</p>
F. ტოქსიკური მასალები	აზბესტის მართვა	<p>(a) თუ აზბესტი განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე, ასეთი განლაგების ადგილებზე გარკვევით უნდა იქნას მითითებული - სახიფათო მასალა;</p> <p>(b) შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოები განახორციელებთ უკვე არსებული ინფრასტრუქტურის აზბესტის შემცველ ელემენტებთან კონტაქტის გარეშე, წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების ექსპოზიციის და მოცულობის მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფად;</p> <p>(c) აზბესტი, მის მოშორებამდე (თუ აზბესტის მოშორება აუცილებელია) უნდა დამუშავდეს დამატენიანებელი ნივთიერებით, აზბესტის მტვრის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;</p> <p>(d) აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვისთვის გამოიყენეთ გამოცდილი და შესაბამისი ტექნიკური უნარების მქონე პროფესიონალები;</p> <p>(e) თუ აზბესტის მასალა დროებით არის შენახული, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იქნას მოთავსებული დახურულ კონტეინერებში და კონტეინერებზე უნდა მოხდეს შესაბამისი ნიშნის დადება. უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გამოყენებული ტერიტორიიდან აზბესტის შემცველი ნარჩენების არა-ავტორიზებული გატანის საწინააღმდეგოდ;</p> <p>(f) არ გამოიყენოთ გატანილი აზბესტი, ან არ დაუშვათ აღნიშნული აზბესტის ხელახალი გამოყენება.</p>
	ტოქსიკური / სახიფათო ნარჩენების მართვა	<p>(a) ყველა სახიფათო, ან ტოქსიკური ნივთიერების დროებითი შენახვა მოხდება უსაფრთხო და შესაბამისი ეტიკეტების მქონე კონტეინერებში;</p> <p>(b) სახიფათო ნივთიერებების კონტეინერები უნდა მოთავსდეს გაჟონვა გამძლე (ჰერმეტიკული) კონტეინერში, გაჟონვისა და გამოტუტვის თავიდან აცილების მიზნით;</p> <p>(c) სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით;</p>

		<p>ნარჩენების გადაყრა უნდა მოხდეს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის მოქმედ ნაგავსაყრელზე, ან მისი გადაცემა უნდა მოხდეს შესაბამისი ლიცენზიის მქონე კომპანიისთვის, ნარჩენების დეაქტივაციის, რეკუპერაციის და საბოლოო გადაყრის მიზნით;</p> <p>(d) არ გამოიყენოს ტოქსიკური ნივთიერებების შემცველი საღებავები, ან გამხსნელები, ან ტყვიის შემცველი საღებავები.</p>
<p>G. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტყეები, ჭარბტენიანი ტერიტორიები და/ან დაცული ტერიტორიები</p>	დაცვა	<p>(a) არ უნდა მოხდეს აქტივობის უშუალო სიახლოვეს არსებულ ტერიტორიაზე ნებისმიერი დაფიქსირებული ბუნებრივი ჰაბიტატების, ჭარბტენიანი ტერიტორიის ან დაცული ტერიტორიის დაზიანება ან ექსპლუატაცია; ყველა თანამშრომელს მკაცრად ეკრძალება ნადირობა, განადგურება, ხეების ჭრა ან სხვა საზიანო საქმიანობის განხორციელება;</p> <p>(b) განახორციელებს სამშენებლო ტერიტორიის მახლობლად არსებული დიდი ხეების ინვენტარიზაცია; უნდა მოხდეს დიდი ხეების მონიშვნა და მათი გამოცალკევება ღობით, უნდა მოხდეს მათი ფესვთა სისტემის დაცვა, და ხეების ნებისმიერი დაზიანების თავიდან აცილება;</p> <p>(c) ახლო მდებარე მაღალი ტენიანობის ტერიტორიები და ნაკადები დაცული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი გამდინარე წყლებისგან, ამასთან უნდა განხორციელდეს ეროზიისა და დანალექების შესაბამისი კონტროლი მაგ. თივის გროვებისა და შლამის ჯებირების გამოყენებით;</p> <p>(d) სამშენებლო ტერიტორიის მახლობლად არ უნდა იყოს არალიცენზირებული კარიერები, ან ნარჩენების გროვები, ეს განსაკუთრებით ეხება დაცულ ტერიტორიებს.</p>
<p>H. სამედიცინო ნარჩენების განადგურება</p>	სამედიცინო ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა	<p>(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოთ, რომ ახლად აშენებული და/ან რეაბილიტირებული ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები აღჭურვილია სამედიცინო ნარჩენების დამუშავებისა და განადგურებისათვის აუცილებელი და საკმარისი ინფრასტრუქტურით; ასეთი ინფრასტრუქტურა მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სპეციალური დანადგარები სეგრეგატული (განცალკევებული) სამედიცინო ნარჩენებისათვის (რაც მოიცავს დაზინძურებულ ინსტრუმენტებს, „ბასრ“ ინსტრუმენტებს, ასევე ადამიანის ქსოვილებს ან სითხეს); და ▪ სამედიცინო ნარჩენების შესაბამისი შესანახი ობიექტები ადგილზე; და ▪ თუ საქმიანობა ობიექტზე დამუშავებას გულისხმობს, ნარჩენების განადგურების შესაბამისი ოფციები არსებობს და ოპერირებს.
<p>I ტრანსპორტი და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	<p>(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოთ, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სანიშნეები, გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები: ტერიტორია კარგად დანახვადია და საზოგადოება გაფრთხილებულია ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ ტრანსპორტის მენეჯმენტის სისტემა და თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე წვდომასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. უსაფრთხო

		<p>გადასასვლელების და გადაკვეთების მოწყობა ფეხით მოსიარულეთათვის იმ ადგილებში, სადაც სამშენებლო ტექნიკა მოძრაობს;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სამუშაო საათების ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა, მაგ: მნიშვნელოვანი ხასიათის სატრანსპორტო აქტივობები არ განხორციელდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაღალი აქტივობის პერიოდებში (ე.წ. პიკი საათის დროს), ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში; ▪ ტრანსპორტის აქტიური მართვა დატრენინგებული და აქტიური თანამშრომლების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, მათი ჩართვა ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მართვის პროცესში; ▪ სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას, თუკი შენობები არ იხურება საზოგადოებისათვის, ოფისის შენობებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებელ შენობებთან უსაფრთხო და უწყვეტი მისვლის უზრუნველყოფა.
<p>1. საზოგადოების და შრომის ჯანდაცვა და უსაფრთხოება</p>	<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა</p>	<p>(a) კონტრაქტორის ჯგუფში გამოყავით პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და მათი თხოვნების/საჩივრების მიღებაზე;</p> <p>(b) გაიარეთ კონსულტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, სამუშაოების განმახორციელებლებსა (დაქირავებულ სამუშაო ძალასა) და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შესაძლო კონფლიქტების გამოვლენის და შესაბამისად მართვის მიზნით;</p> <p>(c) მოახდინეთ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სამუშაოების განმახორციელებლების (დაქირავებულ სამუშაო ძალის ტერიტორიაზე) ყოფნასთან დაკავშირებით, სექსუალურად გამომცემი დაავადებების რისკის შესახებ და ჩართეთ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში;</p> <p>(d) აცნობეთ მოსახლეობას მშენებლობის და სამუშაოების გრაფიკების შესახებ, ასევე სერვისების შეწყვეტის, შემოვლითი მარშრუტების, ავტობუსების დროებითი მარშრუტების და აფეთქებისა და ნგრევის შესახებ, საჭიროებისამებრ;</p> <p>(e) სამშენებლო საქმიანობა შეზღუდეთ ღამით. აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყავით ღამის სამუშაოების ფრთხილად დაგეგმვა და მოსახლეობის სათანადო ინფორმირება, რათა მათ შეძლონ ყველა საჭირო ზომის მიღება;</p> <p>(f) მოსახლეობის მინიმუმ ხუთი დღით ადრე ინფორმირება, რომელიმე სერვისის (მათ შორის, წყლის, ელექტროენერჯის, ტელეფონის, ავტობუსის მარშრუტების) შეწყვეტამდე; მოსახლეობის გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსდება სამუშაო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებზე და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ სახლებზე/ბიზნეს ობიექტებზე;</p> <p>(g) დამკვეთის მიერ შექმნილი საჩივრების მოგვარების მექანიზმის საშუალებით წამოჭრილი პრობლემური საკითხების მოგვარება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში და კონტრაქტორის პასუხისმგებლობის ფარგლებში;</p> <p>(h) სამუშაო ბანაკები არ განთავსდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან უშუალო სიახლოვეს, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი;</p> <p>(i) სამუშაო ბანაკების განთავსება და ოპერირება განხორციელდეს მხოლოდ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე.</p>

	<p>სამუშაო რესურსების მართვა</p>	<p>(a) არა-კვალიფიცირებული, ან ნახევრად-კვალიფიცირებული მუშების დაქირავება მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობიდან, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი. ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერების მიზნით, ჩატარდეს მუშებისთვის შესაბამისი სწავლება (ტრენინგი), როდესაც და სადაც ასეთი ტრენინგის ჩატარება იქნება შესაძლებელი;</p> <p>(b) სამუშაო ტერიტორიაზე შესაბამისი სან. კვანძების ობიექტების (ტულეტების და დასაბანი ადგილების) მოწყობა, ცხელი და ცივი წყლის, საპნის და ხელის საშრობი მოწყობილობების უზრუნველყოფით. ნებისმიერი სამუშაო ბანაკისთვის უნდა მოხდეს დროებითი სეპტიკური ავზის სისტემის მოწყობა, რამაც არ უნდა გამოიწვიოს მახლობლად მდებარე წყლის ნაკადების დაბინძურება;</p> <p>(c) მუშების ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან ზოგადი ურთიერთობის მართვის საკითხებზე, ქცევის კოდექსის შემუშავება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და აღნიშნული კოდექსის მკაცრად დაცვა, რაც მოიცავს მუშების (სამსახურიდან) გაშვებას და შესაბამისი მოცულობის ფინანსური ჯარიმების დაკისრებას.</p>
--	----------------------------------	--

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

აქტივობა	რა (რა პარამეტრის მონიტორინგი უნდა მოხდეს?)	სად (მდებარეობს პარამეტრი, რომლის მონიტორინგიც უნდა განხორციელდეს?)	როგორ (უნდა მოხდეს პარამეტრის მონიტორინგი?)	როდის (განსაზღვრეთ სიხშირე/ ან მუდმივად?)	რატომ (ხდება პარამეტრის მონიტორინგი?)	ვინ (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი?)
მშენებლობის ფაზა						
1.						
2.						
n.						
ოპერირების ფაზა						
1.						
2.						
n.						

ყოველთვიური საველე გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკონტროლო ჩამონათვალი

მდებარეობა					
კონტრაქტორის დასახელება					
ზედამხედველის სახელი, გვარი					
ადგილზე ვიზიტის თარიღი					
სამშენებლო სამუშაოების სტატუსი					
შესამოწმებელი დოკუმენტაცია და აქტივობები	სტატუსი				კომენტარი
	დიახ	ნაწილობრივ	არა	არ ივსება	
	Yes	Partially			
კონტრაქტორს გააჩნია ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე ნებართვა					
კონტრაქტორს გააჩნია ნებართვა ბეტონის/ ასფალტის ქარხნის ოპერირებაზე					
კონტრაქტორს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ნარჩენების საბოლოო გადაყრაზე					
კონტრაქტორს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მომსახურების მომწოდებელთან ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე					
სამუშაო ტერიტორია შემოღობილია და გამაფრთხილებელი ნიშნები დამონტაჟებულია					
სამუშაოები ხელს არ უშლის ფეხით მოსიარულებსა და სატრანსპორტო საშუალებებს გადაადგილებაში, ან უზრუნველყოფილია დროებითი ალტერნატიული მარშრუტი					
ხდება სამუშაო საათების დაცვა					
სამშენებლო ტექნიკა და დანადგარები სტანდარტულ ტექნიკურ მდგომარეობაშია (არ აწარმოებს ჭარბ გამონახოლქვს, არ ხდება საწვავისა და საპოხი მასალების გაჟონვა)					
სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება გადახურული ტრანსპორტით					

ხდება სამშენებლო ტერიტორიის მორწყვა დიდი მოცულობის მტვრის გამოყოფის შემთხვევაში					
კონტრაქტორის ბანაკი ან სამუშაო ბაზა შემოღობილია; გამოყოფილია სპეციალური ადგილები ნარჩენების დროებით განთავსებისთვის და ტექნიკის/ დანადგარების ტექნიკური მომსახურებისათვის					
კონტრაქტორის ბანაკს მიეწოდება წყალი და უზრუნველყოფილია სანიტარული საშუალებებით					
კონტრაქტორის ბანაკი ან სამუშაო ბაზა აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების მოწყობილობებითა და ხანძრის ჩამქობი საშუალებებით					
მუშებს აცვიათ ფორმები და ატარებენ დამცავ აღჭურვილობას შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებისთვის (ხელთათმანები, ჩაფხუტები, სასუნთქი მოწყობილობები, სათვალეები და ა.შ.)					
ტრანსპორტისა და ტექნიკის მომსახურება ხორციელდება შეულწევად, ცალკე გამოყოფილ ადგილებში, სადაც შესაძლებელია დაღვრილი ოპერატიული და საავარიო ნარჩენების კონსერვაცია					
ტრანსპორტისა და ტექნიკის გარეცხვა ხდება ბუნებრივი წყლის ადგილებიდან მოშორებით, ამ გზით ხდება დაბინძურებული წყლის ბუნებრივ წყლებში ჩადინების თავიდან აცილება					
სამშენებლო ნარჩენების გადაყრა ხდება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში					
ბუნებრივი სამშენებლო მასალების მოპოვება ხდება ლიცენზიაში მითითებული პირობების მკაცრი დაცვით					
ჭარბი მასალა და ნიადაგის ამოდების შედეგად მიღებული ზედპირული ნიადაგი ინახება ცალკე და გამოიყენება უკუ ჩაყრისას / ტერიტორიის საწყისი მდგომარეობის აღდგენისას - თუ ასეთი საჭიროება არსებობს					
მოულოდნელი აღმოჩენების დაფიქსირების შემთხვევაში ხდება სამუშაოების შეჩერება, შესაბამისი შეტყობინება ეგზავნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო სააგენტოებს					
ადგილზე ფიზიკური აქტივობების დასრულების შემდეგ, ხდება ტერიტორიის და კონტრაქტორის ბანაკის / სამუშაო ბაზისა და შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ნარჩენების ლიკვიდაცია და ხდება ტერიტორიის ჰარმონიზაცია გარემოსთან					

ESMF -ზე საჯარო კონსულტაციების შეხვედრის ოქმი



რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტი
(RMIDP II)

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა და განსახლების პოლიტიკის
ჩარჩო დოკუმენტების

საჯარო განხილვა

ოქმი

მუნიციპალური განვითარების ფონდი, თბილისი

(მე-3 სართული, შეხვედრების ოთახი)

18 მარტი, 2014 წელი

დღის წესრიგი:

14:00	შეხვედრის გახსნა	
14:10	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის (RMIDP 2) მოკლე მიმოხილვა	შალვა კოკოჩაშვილი, დონორებთან ურთიერთობის სპეციალისტი, მუნიციპალური განვითარების ფონდი
14:20	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი	ანა რუხაძე, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი, მუნიციპალური განვითარების ფონდი
14:40	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი	დავით არსენაშვილი, სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი
15:00 -17:00	დისკუსია	

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თენგიზ თოფურიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
2. მაია ბერაძე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
3. ბესიკ ბასიაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. მედეა ჩაჩხიანი, შპს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია;
5. ხათუნა ჩიკვილაძე, შპს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია;
6. ქეთი ჩომახიძე, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია;
7. რუსუდან ლოლიჯაშვილი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
8. მაია ვაშაკიძე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
9. ნუგზარ გაბელია, სამეგრელო, ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია;
10. ნიკოლოზ ჩიხლაძე, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია;
11. დავით ხანდოლიშვილი, კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია;
12. ამირან შავიშვილი, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია;
13. ნატალია ონიაშვილი, შავი ზღვის ეკოაკადემია;
14. ნინო სულხანიშვილი, Ecovision;
15. რუსუდან სიმონიძე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები - საქართველო;
16. მარიამ ბეგიაშვილი, სოციალური კვლევების ინსტიტუტი (ISR);
17. ქეთი ჯიბლაძე, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC);
18. გრიგორი მამალაძე, შპს „გერგილი“;
19. ლევან კაკუბავა, შპს „გერგილი“;
20. ნინო მეტრეველი, მსოფლიო ბანკი, სოციალური საკითხების სპეციალისტი;
21. ნინო ხარაზი, მფგ, დირექტორის მრჩეველი;
22. ნინო ჯანგულაშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
23. შალვა კოკოჩაშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
24. ნინო ნადაშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდი;
25. ანა რუხაძე, მუნიციპალური განვითარების ფონდი.

შალვა კოკოჩაშვილმა გახსნა შეხვედრა, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა შეხვედრის მიზნებზე. მან შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის (RMIDP 2) თაობაზე, რომელიც განხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. RMIDP 2-ის ძირითად მიზანს წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მან განმარტა, რომ ეს არის მსოფლიო ბანკის ახალი პროექტი, რომელიც რეალურად წარმოადგენს მსოფლიო ბანკის არსებული პროექტის გაგრძელებას და რომლის ხანგრძლივობა 2014-2018 წლებს მოიცავს. სავარაუდო ბიუჯეტი შემდეგნაირად არის

განაწილებული: მსოფლიო ბანკის მხრიდან - 30 მლნ აშშ დოლარი, საქართველოს მთავრობის მხრიდან კი - 12 მლნ აშშ დოლარი. მან მოკლედ ისაუბრა ახალი პროექტის ფარგლებში იმ 7 პირველადი ობიექტების შესახებ, რომლებიც შერჩეული იქნენ დასაფინანსებლად.

ანა რუხაძემ წარმოადგინა ინფორმაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თაობაზე. აღნიშნა, რომ RMIDP II-ს მინიჭებული აქვს B კატეგორია და ამრიგად, მის ფარგლებში მხარდაჭერილი იქნება მხოლოდ B ან C კატეგორიის პროექტები. მოკლედ განიხილა მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციები, რომლებიც ვრცელდება RMIDP II-ზე. წარმოადგინა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის სტრუქტურა, ასევე გამარტივებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საკონტროლო სია, რომელიც გამოიყენება დაბალრისკიანი ქვე-პროექტებისთვის (მცირე სამშენებლო და სარეაბლიტაციო სამუშაოები). განიხილა გარემოსდაცვითი მართვის გეგმების საჯარო განხილვის საკითხი, ასევე გარემოსდაცვითი პროცედურები, რომლებსაც მგფ იყენებს ქვე-პროექტების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და განხორციელების ეტაპებზე.

დავით არსენაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის თაობაზე. აღნიშნა, რომ დოკუმენტი განსაზღვრავს RMIDP II-ის ფარგლებში განსახლებისა და მიწის შეძენის პრინციპებსა და პროცედურების, ქვე-პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეული პირების კატეგორიებსა და მათ უფლებებს, ანალიტიკურ სამუშაოს და დოკუმენტაციას, რომელიც უნდა მომზადდეს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებამდე, განხორციელების პერიოდში და მის შემდეგ. განიხილა იძულებით განსახლებაზე მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკისა (OP/BP 4.12) და საქართველოს კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები და RMIDP II-ის ფარგლებში მათი განხორციელების შეჯერებული პრინციპები, განსახლების სამოქმედო გეგმების საჯარო განხილვების პროცედურები და საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შემდგომ შეხვედრის მონაწილეებმა დასვეს შეკითხვები. ძირითადად შეკითხვები ეხებოდა პროექტების შერჩევისა და დაფინანსების პროცედურებს, პრიორიტეტებს. განსახლების საკითხებთან მიმართებაში დაინტერესება გამოიწვია კომპენსაციისა და ანაზღაურების მექანიზმებზე.

დასმული შეკითხვები და გამოთქმული კომენტარები:

შეკითხვები:	კომენტარები:
როგორ ხდება პროექტების შერჩევა დაფინანსებისთვის, როგორ განისაზღვრება პრიორიტეტები, როგორია სრული ციკლი, რა ეტაპებია გასავლელი დასაწყისიდან ბოლომდე, რაიმე ვადები თუ არსებობს?	დამსწრე საზოგადოებას განემარტა პროექტების შერჩევის და დაფინანსების პროცედურები და სქემა. აღინიშნა, რომ პროექტები ირჩევა მუნიციპალიტეტების საჭიროებებისა და აუცილებლობების

	<p>გათვალისწინებით. რაიმე სტანდარტული ვადები და შეზღუდვები შერჩევითვის არ არსებობს. თუ რაიმე ძალიან სასწრაფო პრობლემაა გადასაჭრელი, შესაძლებელია რეტროაქტიურად მოხდეს პროექტის დაფინანსება, თუკი ის წარმოდგენილია შესაბამისი სტანდარტისა და ხარისხის დაცვით. თუკი მუნიციპალიტეტს არ შეუძლია დეტალური პროექტის წარმოდგენა, მაშინ მგფ თავად ერთვება პროექტის მომზადების პროცესში და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე შესაბამისი პროექტების მომზადებას.</p>
<p>ვინ ახორციელებს პროექტების გარემოსდაცვითი ნაწილის შეფასებას? ვის მიერ ხდება გარემოსდაცვითი მართვის გეგმების შემუშავება ამა თუ იმ პროექტისთვის?</p>	<p>სრული ბსგზშ-ის ანგარიში მომზადდება იმ ქვე-პროექტისთვის, რომელიც მიუხედავად B კატეგორიისა, შედარებით მაღალ რისკებს შეიცავს და მისი უარყოფითი ზემოქმედება წინასწარ კარგად არ არის ცნობილი, ასევე იმ პროექტებისათვის, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს ქვე-პროექტის სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. სრული ბსგზშ-ის ანგარიშის მოსამზადებლად ხდება საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა ტენდერის გზით.</p> <p>დაბალრიკიანი ქვე-პროექტებისთვის (მცირე სამშენებლო და სარეაბლიტაციო სამუშაოები) გამოიყენება გამარტივებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საკონტროლო სია და მის საფუძველზე, გარემოსდაცვითი მართვის გეგმები მზადდება მგფ-ის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტების მიერ,</p> <p>გარემოსდაცვითი მართვის გეგმა და გარემოზე ზემოქმედების სანებართვო პირობები არის ამა თუ იმ პროექტის განხორციელებისთვის გამოცხადებული ტენდერის და შემდგომ კი უკვე</p>

<p>გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საკონტროლო სიაში აღნიშნულია, რომ ტოქსიკური/ საშიში ნარჩენების განთავსება უნდა მოხდეს სპეციალურად ლიცენზირებულ ნაგავსაყრელებზე, თუმცა დღეისათვის საქართველოში არ არსებობს ასეთი ნაგავსაყრელი, თუ არ ჩავთვით იაღლუჯას დახურულ ნაგავსაყრელს.</p> <p>შესაძლოა თუ არა, რომ მგფ-ის მიერ განხილული იქნეს ნაგავსაყრელების მოწყობის საკითხი, მათ შორის ტოქსიკური ნარჩენების განთავსებისათვის?</p>	<p>კონტრაქტების შემადგენელი ნაწილი.</p> <p>ტოქსიკური/საშიში ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში მოხდება სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციების მომსახურების შესყიდვა.</p> <p>რაც შეეხება აზბესტშემცველ ნარჩენებს (შიფერი), მათი განთავსება მოხდება არსებულ ნაგავსაყრელებზე, კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>RMIDP 2-ის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ B და C კატეგორიების პროექტები, შესაბამისად ვერ დაფინანსდება ახალი ნაგავსაყრელის მოწყობა, ვინაიდან იქნება A კატეგორიის პროექტი.</p>
<p>სოციალური სკრინინგის ფორმაში, პირველ შეკითხვაში სიტყვა „კუთვნილება“ უნდა შეიცვალოს სიტყვით „სარგებლობა“, მე-2 შეკითხვაში უნდა დაემატოს „საერთო საზოგადოებრივი საჭიროების ობიექტები“, ხოლო მესამე შეკითხვაში, საოჯახო ინფრასტრუქტურის ჩამონათვალში უნდა დაემატოს „დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი“.</p>	<p>სოციალური სკრინინგის ფორმაში შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილებები.</p>
<p>მუნიციპალიტეტებს ადეკვატურად თუ მიეწოდებათ ინფორმაცია მგფ-ის მხრიდან და ისინი თუ ფლობენ საკმაო ინფორმაციას პროექტების დაფინანსების შესაძლებლობებზე?</p>	<p>მრავალი საჯარო შეხვედრა ჩატარდა მუნიციპალიტეტებში, ასევე, მათ წარმომადგენლებსაც გაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები, მიეწოდათ საჭირო ინფორმაცია. ასევე, ტელევიზიით მუდმივად ხდება მგფ-ის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების გაშუქება.</p>
<p>რა პრინციპით ხდება განსახლება და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ქონების შეფასება?</p>	<p>განსახლების სამოქმედო გეგმის ჩარჩო დოკუმენტი მომზადებულია მსოფლიო ბანკის საოპერაციო პოლიტიკის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. კომპენსაციას მიიღებს ყველა, ვიზეც უშუალოდ მოხდება ზემოქმედება პროექტის განხორციელებისას. კომპენსაციას მიიღებენ მიწის მესაკუთრეები და მიწის მოსარგებლეებიც, მაგრამ განსხვავებული იქნება კომპენსაციის ტიპი: მიწის</p>

	<p>ღირებულება გადაეცემა მხოლოდ მას, ვისაც გააჩნია რეგისტრირებული კერძო საკუთრება მიწაზე. სხვა შემთხვევაში ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს კომპენსაცია გადაეცემათ ერთწლიანი კულტურების, მრავალწლიანი ნარგავების და სხვა სახის ეკონომიკური აქტივობის სანაცვლოდ მიწაზე ფორმალური უფლებების გარეშე.</p> <p>აქტივების შეფასება მოხდება საბაზრო ღირებულებების, ან ჩანაცვლების ღირებულების საფუძველზე. მაგ. მიწის ნაკვეთის ღირებულება შეფასდება საბაზრო ფასით, ხოლო ნარგავების კომპენსაციის დაანგარიშება მოხდება ჩანაცვლების ღირებულებით.</p>
<p>შესაძლებელია თუ არა შეფასების გასაჩივრება?</p>	<p>რა თქმა უნდა შეფასების გასაჩივრება შესაძლებელია. ამისათვის არსებობს საჩივრების განხილვის მექანიზმი და ასევე სასამართლო.</p>
<p>რა ხდება, როცა პირი ითხოვს იმაზე მეტს, ვიდრე რეალურ ღირს ქონება და რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა პირი უარს ამბობს ადგილმონაცვლეობაზე?</p>	<p>ორივე შემთხვევაში გამოიყენება ექსპროპრიაცია. ექსპროპრიაციის პროცესში ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს უფლება აქვს ჩაატაროს ალტერნატიული შეფასება და თუ სასამართლო გადაწყვიტეს, რომ უფრო მეტი ეკუთვნის, მაშინ მოხდება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. სხვა შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა მესაკუთრესთან შეთანხმება, ხორციელდება ექსპროპრიაცია, ოღონდ აუცილებლად სამართლიანი კომპენსაციის საფუძველზე. თუმცა, ყველა მექანიზმი იქნება ჩართული იმისათვის, რომ არ დადგეს ექსპროპრიაციის აუცილებლობა.</p>
<p>საცხოვრისის დანგრევის დროს როგორ ხდება</p>	<p>საცხოვრისის დანგრევის დროს ხდება</p>

ანაზღაურება?	ფულადი კომპენსირება.
თუ პირმა დახარჯა თანხა და დარჩა საცხოვრისის გარეშე, მაშინ რა მოხდება?	გარიგების მხარეები არიან ქმედუნარიანი მოქალაქეები და პასუხს აგებენ საკუთარ მოქმედებებზე. თუკი ამგვარი საშიშროება წარმოიქმნა (არაქმედუნარიან პირთან დაკავშირებით) მაშინ აუცილებლად უნდა ჩაერიოს სოციალური სამსახურები. სხვა შემთხვევაში ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს კერძო პირს მივუთითოთ რაში დახარჯოს კომპენსაციის შედეგად მიღებული თანხები.
ჩვენ გვაქვს საბავშვო ბაღი, სადაც ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებული პირები, გვაქვს თუ არა უფლება წარმოვადგინოთ საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტი?	განსახლების გეგმის ჩარჩო დოკუმენტი არ ზღუდავს საპროექტო წინადადების წარმოდგენას, იმ შენობების რეაბილიტაციაზე, სადაც ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებული პირები. ასეთი პროექტებისათვის მომზადდება განსახლების სამოქმედო გეგმა. რაც შეეხება იძულებით გადაადგილებული პირებს, მათი განსახლების საკითხი, ასევე, უნდა შეთანხმდეს შესაბამის (დევენილთა და განსახლების) სამინისტროსთან.

სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენლებმა და შეხვედრის სხვა მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობას მგფ-ს, სამხარეო ადმინისტრაციებსა და მუნიციპალიტეტებს შორის. შეხვედრის ბოლოს შ. კოკოჩაშვილი მიერ შეჯამებული იქნა შეხვედრაზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და აღნიშნა, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტების საბოლოო ვერსიები განთავსებული იქნება მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე.

ოქმი შეადგინეს: ნინო ნადაშვილმა და ანა რუხაძემ

დანართი 1. შეხვედრის მონაწილეების რეგისტრაციის ფურცელი

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მუდრე პროექტი (RMIDP 2)

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა და

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტების სამუშაო ვერსიების განხილვა

18 მარტი, 2013

მონაწილეობა სია

სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია
1 თენგიზ ბოგუჩიძე	საქართველოს ხევისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის აპარატი	599 551 751 t.topuridze@mrdi.gov.ge
2 გეორგი ბერიძე	საქართველოს მთლიანი სტატისტიკის ეროვნული სამსახური	599 44-44-45 M.beridze@mce.gov.ge
3 ქრისტინე გუგუშვილი	ქ.ს.ს. "გეოგრაფიკა"	599 300633 gugushvili@geogeo.com
4 ივანე კახუბავა	ქ.ს.ს. "გეოგრაფიკა"	599-976252 L.Kakubava@geogeo.com
5 ბესიკ ბასიაშვილი	საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამსახური	599 19 7796 bbasiasvili@economy.ge
6 ნატალია გუბელია	საქართველოს მთლიანი სტატისტიკის ეროვნული სამსახური	599 202400 nat.gubelia@gmail.com
7 ნინო ჩიქლიძე	საქართველოს მთლიანი სტატისტიკის ეროვნული სამსახური	595 30 45 30 n.chiklidze@imereti.ge

8	მედიკალი მედიკალი	პრ. მკობრე ბიბიქაძის შიდა ქირურგიული კლინიკის უფროსი მედიკოსი	577492512 meda.chachiani@gmail.com
9	ბიოლოგი რესპონდენტი	პრ. დიანა ბიბიქაძის შიდა ქირურგიული კლინიკის უფროსი მედიკოსი	599107328 khatunae@hotmail.com
10	მედიკალი მედიკალი	პრ. დიანა ბიბიქაძის შიდა ქირურგიული კლინიკის უფროსი მედიკოსი	595 51 44 96 mashvili@gmail.com
11	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ECOVISION	574738871 asulkhanishvili@ecovision.ge
12	საინჟინერო ინჟინერი	საინჟინერო უნივერსიტეტი ინჟინერი	5-99-53-2611 masuda.simonidze@uni.edu.ge
13	ინფორმაციული ტექნოლოგიები	ინჟინერი. უნივერსიტეტი ინჟინერი	595070444 njangalashvili.mtforg.ge
14	ინფორმაციული ტექნოლოგიები	საინჟინერო უნივერსიტეტი ინჟინერი	577380903 Chomakhidze@uni.edu.ge
15	ინფორმაციული ტექნოლოგიები	საინჟინერო უნივერსიტეტი ინჟინერი	577444088 begiashvili@uni.edu.ge

საინჟინერო უნივერსიტეტი
ინჟინერი
საინჟინერო უნივერსიტეტი
ინჟინერი
საინჟინერო უნივერსიტეტი
ინჟინერი

16	საინჟინრო განათლების ცენტრი	საინჟინრო განათლების ცენტრი საინჟინრო განათლების ცენტრი (საინჟინრო განათლების ცენტრი)	599 214048 rusudani@gmail.com
17	საინჟინრო საინჟინრო	საინჟინრო განათლების ცენტრი საინჟინრო განათლების ცენტრი	593 32 3077 maja_vashaidze@yahoo.co.uk
18	საინჟინრო საინჟინრო	საინჟინრო განათლების ცენტრი საინჟინრო განათლების ცენტრი	555 375713 skokochashvili@mdf.org.ge
19	საინჟინრო საინჟინრო	საინჟინრო განათლების ცენტრი საინჟინრო განათლების ცენტრი	mnadashvili@mdf.org.ge
20	საინჟინრო საინჟინრო	საინჟინრო განათლების ცენტრი საინჟინრო განათლების ცენტრი	regionaluri@yahoo.com
21	საინჟინრო	REC Caucasus	keti.jibladze@rec-caucasus.com
22	საინჟინრო	WB, საინჟინრო განათლების ცენტრი	nmetsnel@worldbank.org
23	საინჟინრო	საინჟინრო განათლების ცენტრი	am.shavshvili@mail.ru
24	საინჟინრო	საინჟინრო განათლების ცენტრი	arukendze@mdf.org.ge
25	საინჟინრო	საინჟინრო განათლების ცენტრი	mkharadze@mdf.org.ge
26			

დანართი 2. შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა

